ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 44
(11 501)

8 – 11 ივნისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

სიხარული და განზილება! ასეთი განცდა დაგვეუფლა ყველას კალათბურთსა და ფეხბურთში ჩვენი ეროვნული ნაკრებების გამოსვლით ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. სიხარული განგვაცდევინა, აგრეთვე გია თორთლაძის კიდევ ერთხელ ასვლამ ევერესტზე და ნინო სალუქვაძის ვერცხლის მედალმა მსოფლიო თასის ეტაპზე.

დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა I სპორტული თამაშები, რომელიც საბჭოთა ეპოქის მოსწავლეთა სპარტაკიადების მემკვიდრეა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აქტიურად ემზადება ჩვენს ქვეყანაში ოლიმპიური კვირეულის ჩასატარებლად (18-24 ივნისი). დაზუსტდა პროგრამა, რეკომენდაციები დაეგზავნა რეგიონებს.

ამ დღეებში მითქმა-მოთქმის საგნად იქცა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯისთვის (ყოფილი ტექნიკუმი) კონსტიტუციის ქუჩაზე არსებული სპორტული ბაზის განათლების სისტემიდან ისევ სპორტის დეპარტამენტის ბალანსზე დაბრუნება. განზრახულია ამ ღია არენაზე კვლავ აღსდგეს მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ისევ იმუშავებს ფეხბურთის მოედანი. „ლელო“ ამ თემას კვლავ დაუბრუნდება...



2003 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი
**6 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე.**

## საქართველო – ბელარუსი 83:78

**საქართველო:** ქღენტი, გოგობერიშვილი, ჩხეიძე, ბოისა, კოკოლიშვილი, ნაცვლიშვილი, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე, ფაჩულია (24), შენგელია.
**ბელარუსი:** კლემეზი, პინტიკოვი, შარკო, ბოიდაკოვი, ვასილევკო, კორშუკი (22), მეშჩერიაკოვი, ულიანკო, ალექსეევი, კული.
**მსაჯები:** ი. ლებედევი (რუსეთი), თ. შაჰინი (თურქეთი).
**კომისარი:** ე. ტრეგუბოვი (უკრაინა).

**სატურნირო ვითარება**
**საქართველო — ბულგარეთი 91: 75**
**ბელარუსი — აზერბაიჯანი 122:50**
**საქართველო — ბელარუსი 83:78**
**აზერბაიჯანი — ბულგარეთი 62:101**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ.. |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 174-153 | 4 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 200-133 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 176-153 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 2 | 112-213 | 2 |

# ფავორიტი დავამარცხეთ!

ჩინებული დასაწყისია, ვერაფერს იტყვი. საქართველოს ნაკრებმა მეორე შეხვედრაც მოიგო და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს. ჯგუფის ფავორიტის დამარცხება იოლი არ იყო. სპორტის სასახლეში მოსული მრავალრიცხოვანი ქომაგი დაძაბული, უშეღავათო მატჩის მოწმე გახდა. ბელარუსებს ოთხი წლის წინათ მოვუგეთ და ახლაც, განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ამ ხნის მანძილზე ორივე ნაკრებში ბევრი რამ შეიცვალა. ქართველთა გუნდს ახალი ლიდერი ჰყავს — ზაზა ფაჩულია. თურქული „ულქერის“ ცენტრი მართლაც მზარდი, პერსპექტიული და ქართული კალათბურთის შესანიშნავი მომავალია. 17 წლის ყმაწვილი შეუდარებელი იყო დაცვაში, შეტევაში კი დაგროვილი ქულები (24) მის ნიჭზე ყველაზე უკეთ მეტყველებს. ლიდერი ბელარუსებსაც ჰყავდათ — ალექსანდრ კული. ისიც თურქეთში, „გალათასარაიში“ თამაშობს. ორი ცენტრის ჰიდილი ქართველმა მოიგო და კულისგან განსხვავებით, გუნდს ბოლო წუთამდე წინ მიუძღვოდა.

მატჩში ანგარიში ბოისას საჯარიმოდან ჩაგდებული ორი ქულით გაიხსნა. ბელარუსებმა ასევე ზუსტი საჯარიმოებიდან ჩააგდეს ბურთი. თამაში თანდათან გააქტიურდა. მასპინძლები აშკარად ღელავდნენ, მაშინ, როცა სტუმრები უკეთ უტევდნენ და წინაც გადიოდნენ. სტუმრებს სამქულიანი ტყორცნებიც უკეთ გამოსდიოდათ. ჩვენი კალათბურთელები ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმცა მცდელობის მიუხედავად, პირველი მეოთხედი მაინც მეტოქემ მოიგო — 25:21. მეორე მეოთხედში თამაში ქართველთა სასიკეთოდ შეიცვალა. ანგარიშიც გავათანაბრეთ და წინაც გავედით. პირველი ტაიმი 41:38 მოვიგეთ. მესამე მეოთხედში თანაბარი თამაში წავიდა, თითქმის ქულა — ქულაში, მაგრამ აქ დაღლილობამ იჩინა თავი თუ რა იყო, ჩვენების ტყორცნებს სიზუსტე მოაკლდა, მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, ბელარუსები ცხრა ქულას იგებენ. ბოლოს კი ათი ქულით დაწინაურდნენ. ხანმოკლე შესვენებამ სულზე მოგვისწრო. მეოთხე მეოთხედში დადგა მომენტი, რამაც მატჩის შედეგი ბევრად განსაზღვრა. მასპინძლებმა ათქულიანი სხვაობის გაბათილება შეძლეს და როცა ანგარიში საკმაოდ შემცირდა 74:76, გადამწყვეტი მომენტიც დადგა. დარჩენილ 4-5 წუთის მანძილზე, მატჩის ბოლომდე სტუმრებმა მხოლოდ ორი ქულის მოპოვება შეძლეს. ქართველები თავს შესანიშნავად იცავდნენ. შეტევაში წუნი კი იყო, სამაგალითოდ თუნდაც ისიც კმარა, რომ ბოლო შვიდი საჯარიმოდან, მხოლოდ ერთი ჩავარდა მეტოქის კალათში. თუმცა, მონდომებამ, გამარჯვების დაუოკებელმა სურვილმა, თავისი გაიტანა, დავწინაურდით და მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაგვიშვია. 83:78 მოვიგეთ და ჯგუფსაც ვლიდერობთ. ქების ღირსია ყველა — მწვრთნელებიც და კალათბურთელებიც.

9 ივნისს ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებთან მესამე მატჩს ვითამაშებთ. ჯგუფის აუტსაიდერს უეჭველად უნდა მოვუგოთ. მთავარი გამოცდა აგვისტოში გველოდება — გასვლითი მატჩები ბულგარეთში და ბელარუსში. იქ უნდა შევეცადოთ მოპოვებულის შენარჩუნებას. იმედია, შევძლებთ...

**მიკა საბანაძე**

## დრონი

### „დრონი“ 10 წლის სიმაღლიდან იმზირება

10 წელიწადი არც ბევრია და არც იმდენად ცოტა, რომ გაზეთმა თავისი სახე ვერ შექმნას, სახელისა და ავტორიტეტის დამკვიდრება ვერ მოასწროს. „დრონმა“ განვლილ 10 წელიწადში ყველაფერი მოასწრო. მკითხველმა იგი იმთავითვე შეიყვარა, როგორც ქვეყნის სატკივარს მიყურადებული, მართალი გაზეთი. „დრონი“ სანიმუშო გამოცემად იქცა შინაარსითაც და ფორმითაც.

„დრონი“ ეს ჩვენ ვართ, რადგან მუდამ ჩვენთანაა. მისი ყოველი ახალი ნომერი, ჩვენს ფიქრებსა და მისწრაფებებს ეხმიანება. გაზეთს მეტი რა მოეთხოვება!

გვახარებს ამ გაზეთის წარმატება. მით უმეტეს, რომ მისი ხელმძღვანელები და რამდენიმე თანამშრომელი სხვადასხვა დროს „ლელოში“ მუშაობდნენ.

დრო მოვლენებზე მაღლა დგას ყოველთვის. „დრონიც“!

ლელოელები

### ნინო სალუქვაძე – კლუს კიდევ ერთი „ვერცხლი“

იტალიიდან მიღებული ძუნწი ცნობით, იქ დამთავრდა ტყვიის სროლაში მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი, სადაც ნინო სალუქვაძემ სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, პნევმატური იარაღიდან სროლაში კი მეოთხე იყო.

ნინო დღეს უკვე გერმანიაშია, სადაც თასის მორიგი ეტაპი ჩატარდება.



### „გია თორთლაძეს გაუმარჯოს – ევერესტის ორგზის დამპყრობს!“

ასეთი ტრანსპარანტი იყო გაკრული კაზინო „ივერიის“ „გრანლდ ჰოლის“ ერთ-ერთ კედელზე. „ყოველთვის ვგრძნობ თქვენს თანადგომას, ყველა ასვლა იმ ხალხს ეძღვნება, ვისაც ჩემი სჯერა“ – ამ სიტყვებით მიმართა პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებრიობას გია თორთლაძემ. მართლაც, საზეიმო ელფერი დაჰკრავდა გუშინდელ თავყრილობას, მიზეზი კი ქართული ალპინიზმის შესანიშნავი წარმომადგენლის გია თორთლაძის კიდევ ერთი გამარჯვება, მისი უდრეკი ვაჟკაცობის გამოხატულება იყო.

44 კაციან იაპონურ ეკოლოგიურ ექსპედიციაში გია თორთლაძე და ექიმი ზურაბ ასტახიშვილი მონაწილეობდნენ. შეხვედრის მთავარმა გმირმა მოკლედ მოუთხრო პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს თავისი თავგადასავალი და მომავალზე ილაპარაკა. გია თორთლაძე შერპთან ერთად, 22 მაისს, 8300 მეტრის სიმაღლიდან, ბოლო საბაზო ბანაკიდან გაეშურა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქედით ევერესტის დასაპყრობად და დაიპყრო კიდეც. მან 1999 წლის მიღწევა გაიმეორა და „დედამიწის სახურავზე“ მან მეორედ შედგა ფეხი. გია თორთლაძემ ის ხალხი და ფირმები მოიხსენია და მადლობა გადაუხადა, მათ თანადგომისთვის და სპონსორობისთვის, ვინც გზა დაულოცა ევერესტისკენ („ბორჯომი“ ეით, „ჯეოსელი“, „ყაზბეგი“, „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“, „საქართველოს მიკრო საფინანსო ბანკი“, „ალმა პლუსი“). ბევრი იყო მოკითხვა და მილოცვები. გიას და მის მეგობრებს, მთელ ქართულ მთამსვლელთა სამყაროს მიესალმნენ – ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ლაშა თაბუკაშვილი, გოგა ხაინდრავა, ნათია ამირეჯიბი, მისი ვაჟკაცობის სხვა დამფასებლები.

გია თორთლაძე და ზურაბ ასტახიშვილი, როგორც თავად თქვეს, მომავალ წელსაც აპირებენ მონაწილეობას ანალოგიურ ექსპედიციაში.

## ფედერაციების რეიტინგი

მაისში მიღწეული შედეგების მიხედვით




## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **ჩინელმა** ქალებმა საჩვენებელ საჭადრაკო მატჩში მოუგეს დანარჩენ მსოფლიო ნაკრებს შანხაიში — 41,5:30,5. ჩინეთი: პინი — 8 ქ., ჩუე ჩენი — 7,5, სიუ ქუნი — 7, სიუ იუხუა — 7, ვან ლეი — 6,5, ცინ კანინი — 5,5. დანარჩენი მსოფლიო: ჩიბურდანიძე — 7, მარიჩი — 6, ალექსანდრია — 5,5, იოსელიანი — 5, გაფრინდაშვილი — 4, ქუკოვა — 3.

● **ფიფამ დაიწყო გამოძიება საბერძნეთ-ინგლისის შესარჩევი მატჩის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. როცა ინგლისელთა კაპიტანი კუთხურს აწოდებდა, მას თავს დაატყდა მონეტების, ბოთლების და სანთებლების „წვიმა“. ფიფა თავის დელეგატის წერილობით განმარტებას ელოდება.**

● **გუშინ** გამოცხადდა, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იაპონია-კორეაში ჩატარდება ახალი სპონსორის დახმარებით. ხელშეკრულება გაფორმდა „ტოშიბასთან“ და ერთ-ერთ სატელეგრაფო-სატელეფონო კორპორაციასთან. ძველი სპონსორი ISMM GROUP მაისში გაკოტრდა.

● **ჯენიფერ კაპრიატი გავიდა ჩოგბურთში საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში, მას შემდეგ, რაც შვეიცარიის პირველ ჩოგანს მარტინა ჰინგისს მოუგო – 6:4, 6:3.**

**ფინალში გავიდა, აგრეთვე ბელგიელი კიმ კლიისტერსი, რომელმაც თანამემამულე ჟიუსტინ ენინს სძლია – 2:6,7:5,6:3. (იხ. მე-8 გვ.)**

● **«ჯირო» გაგრძელდება.** გუშინ ველომრბოლთა შეკრებაზე გადაწყდა, რომ არ შეწყდება ამ მრავალდღიანი ველორბოლის პრიზის გათამაშება. მე-18 ეტაპი, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, გადაიდო ველომრბოლთა საცხოვრებელში პოლიციის რეიდის პროტესტის ნიშნად. პოლიცია, როგორც ამბობენ, აკრძალულ პრეპარატებს ეძებდა.

სპორტსმენები დიდხანს მსჯელობდნენ ამ თემაზე. წუხელ იტალიის ველომრბოლთა ასოციაციის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ „სპორტსმენები დაიყოლია“ — „ჯირო“ გაგრძელდება“.

## ჩვენი ფეხბურთი:

## ახალგაზრდები – უკვე ხუთგზის ოროსნები!

## ეროვნული ნაკრები – შევრცხვით და გაგვაბითურეს...

3

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეშფოთებულია: არც ზამთრის, არც ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის, არც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის, საქართველოს სპორტსმენთა მოსამზადებლად და მონაწილეობის მისაღებად, მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა, ჯერჯერობით არანაირი თანხები არაა გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულებით.

## გიწვევთ პრესკონფერენციაზე

დღეს, 8 ივნისს, 13 საათზე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ჩატარდება პრესკონფერენცია. განიხილება ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის და ესპანეთის ქ. მურსიაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის მზადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

## საუკეთესო სპონსორი მაისში

გასულ თვეში სპონსორობის ყველასათვის მისაბაძი მაგალითი გვიჩვენა საქველმოქმედო ფონდ „გამარჯვების“ პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ***ნონა გაფრინდაშვილის*** იუბილეს მაღალ და სანიმუშო დონეზე ჩატარებაში.

### დინამიკა სტატისტიკაში

ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები, პირველობები, თასი...

| 1999-2000-2001 იანვარ-მაისის შეფარდება | | | | |
|---|---|---|---|---|
| წლები | სულ მედალი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
| 1999 | 36 | 10 | 8 | 18 |
| 2000 | 34 | 13 | 3 | 18 |
| 2001 | 52 | 14 | 14 | 24 |

### მილოცვები



„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან წყალმხტომელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს (1980), ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს (1979) და სსრკ ჩემპიონს (1979-80), სსრკ თასის მფლობელს (1978-82), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს ***ლიანა ცოტაძეს.***

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაფუძნებიდან 10 წლისთავს ულოცავს ***საქართველოს ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას.***

## საქართველოს მოსწავლეთა I სპორტული თამაშები. თავისუფალი ჭიდაობა

## პირველი ჩემპიონები და პრიზიორები

მოსწავლეთა თამაშები თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობით დაიწყო. ამთავითვე ვიტყვით, რომ სპორტული ოსტატობის თვალსაზრისით, ტურნირი მაღალი დონისა იყო. სპეციალისტებმა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის გვარი მოინიშნეს. მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობდა საერთაშორისო არბიტრი ჯუმბერ დავლიანიძე. ასპარეზობაში 9 რეგიონის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

კვარცხლბეკი

***42 კგ:*** 1. გიორგი მარსაგიშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. დავით ბუქური (თბ), 3. მამუკა გურგენიძე (იმერეთი); ***46 კგ:*** 1. ნოე ჭელიძე (თბ), 2. ზურაბ ორთოიძე (იმერეთი), 3. გიორგი ნერგაძე (აფხ); ***50 კგ:*** 1. ვალერი დვალიშვილი (შიდა ქართლი), 2. სულხან ჯიჯავაძე (აჭარა), 3. გიორგი ზვიადაძე (იმერეთი); ***54 კგ:*** 1. შალვა ქუცნიაშვილი (მცხეთა-მთ), 2. თემურ ქასოშვილი (ქვ. ქართ), 3. იაკობ მაქარაშვილი (თბ); ***58 კგ:*** 1. რევაზ მახარაშვილი (თბ), 2. კობა კაკალაძე (აჭ), 3. ცოტნე ბარამიძე (შიდა ქართ); ***63 კგ:*** 1. ელბერდ გავაშელი (რაჭა-ლეჩხუმი), 2. მალხაზ მუზიაშვილი (შიდა ქართ), 3. ომარ ინაშვილი (თბ); ***69 კგ:*** 1. არჩილ ბარამიძე (შიდა ქართ), 2. არჩილ გიგაური (თბ), 3. ნუკრი ჯელაძე (აფხ); ***76 კგ:*** 1. ვალერი მაისურაძე (რაჭა-ლეჩხ), 2. მიხეილ მუკნიაშვილი (შიდა ქართ), 3. ცოტნე შენგელია (იმერ); ***85 კგ:*** 1. მიხეილ ჩიქოვანი (თბ), 2. მურად გუჯარაიძე (მცხ — მთ), 3. თემურ ვანიშვილი (შიდა ქართ); ***100 კგ:*** 1. აკაკი ქსოვრელი (თბ), 2. ივერი სვანიძე (აფხ), 3. კობა კერესელიძე (რაჭა-ლეჩხ). ***გუნდური:*** 1. თბილისი, 2. შიდა ქართლი, 3. მცხეთა-მთიანეთი, 4. იმერეთი, 5. რაჭა-ლეჩხუმი, 6. აჭარა. 7. ქვემო ქართლი, 8. კახეთი, 9. აფხაზეთი..



*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

**ცოტნე ბაქრაძე**

## საჭადრაკო ფესტივალი „თბილისი-XXI საუკუნე“

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრიზზე ● 9-16 ივნისი, 2001 წელი

***შეჯიბრებას ატარებს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და ქ. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვე“.***

● საჭადრაკო ფესტივალი „თბილისი-XXI საუკუნე“ 9-16.06. რეგისტრაცია 9 ივნისს 17.00 საათზე. შვეიცარიული სისტემა. 7 ტური.

● ა – ტურნირი 16 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის 1.01.85
ბ – ტურნირი 14 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის 1.01.87
გ – ტურნირი 10 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის 1.01.91
დ – ტურნირი 8 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის 1.01.93
ე – ტურნირი 6 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის 1.01.95

● ყველა ტურნირში 1-3 ადგილზე გასული ჭაბუკები და გოგონები დაჯილდოვდებიან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზებით და დიპლომებით.

● შეჯიბრება ჩატარდება ქ. თბილისში, საქართველოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრში, დავით აღმაშენებლის 127.

*საკონტაქტო ტელეფონები: 8 (99) 101 650, 990 258, 8(99) 567 686, 252 527, 983 767, 8 (77)724822, 352 066, 931 086, 958 976, 957 908.*

## ნანა ძაგნიძე და გიგა ყუფარაძე საქართველოს ჩემპიონებია



ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში 14 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის. გოგონათა ტურნირში მონაწილეობდა 39, ვაჟთაში – 54 მოჭადრაკე. ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

გოგონათა შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა და საქართველოს ჩემპიონი გახდა (9 შესაძლებლიდან 8 ქულა) ქუთაისელი ნიჭიერი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე. მეორე ადგილზე 7,5 ქულით გავიდა ბათუმელი სალომე მელია. ვაჟთა ტურნირში 7-7 ქულით I-II ადგილზე გავიდნენ თერჯოლელი გიგა ყუფარაძე და თბილისელი ვახტანგ ხიზანიშვილი. უკეთესი კოეფიციენტით საქართველოს ჩემპიონი გახდა გ. ყუფარაძე.

გამარჯვებულები ნანა ძაგნძე და გიგა ყუფარაძე მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო მეორეადგილოსნები სალომე მელია და ვახტანგ ხიზანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ნანა ძაგნიძის ბოლოდროინდელი შესანიშნავი წარმატებები. აპრილში მან საქართველოს ქალთა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, მაისში ევროპის ქალთა ჩემპიონატში გასაოცარი გამოსვლით შეასრულა ქალთა შორის დიდოსტატის პირველი ბალი, რაც ამ ასაკში მსოფლიო ჭადრაკში იშვიათი შემთხვევაა.

***„ლელოს“ კორ. ქუთაისი.***

## ჭიდაობა მესხეთში

## სახელოვან წინაპართა მემკვიდრენი

**ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მესხეთში ჭიდაობის ოლიმპიურმა სახეობებმა, განსაკუთრებით თავისუფალმა ჭიდაობამ, მძლავრად გაიდგა ფესვები და არა მხოლოდ რაიონული ცენტრები, სოფლებიც მოიცვა. ამაში დიდია მესხეთ-ჯავახეთის ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის, მისი ხელმძღვანელისა და ჩინებული ახალგაზრდა სპეციალისტის ზაზა ჩილინგარაშვილის დამსახურება.**

ახალგაზრდა ფალავნების დაოსტატებას ხელს უწყობს სისტემატური შეჯიბრებები. ერთი ასეთი ასპარეზობა ასპინძაში ახლახან გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც უფროსი ასაკის 90-მდე ფალავანი მონაწილეობდა, როგორც თვით რაიონული ცენტრიდან, ისე სოფლებიდან: ხიზაბავრიდან, ოშორადან, დამალადან, ივერიადან, ჭობარეთიდან, აგრეთვე ქ. ახალციხიდან, ვალედან, სოფ. ზიკილიადან, ადიგენის სოფლებიდან არალიდან და უნწადან. ტურნირი გიორგი ბარამიძის ხსოვნას მიეძღვნა.

სამწუხაროდ, ასპინძიდან მიღებულ ინფორმაციაში, მხოლოდ ფინალისტების გვარებია მითითებული (პირველები გამარჯვებულებია დასახელებული წონების მიხედვით). ***38 კგ:*** ჯიმშერ პაქსაძე (ოშორა), აკაკი დიასამიძე (ჭობარეთი), ***42 კგ:*** ვანო წამალაიძე (ასპინძა), გელა ხითარიშვილი (ვალე), ***46 კგ:*** ბესიკ მანველიშვილი (ვალე), ზვიად შანთაძე (ივერია), ***50 კგ:*** გიორგი კუჭაძე (ახალციხე), ვახტანგ თათეიშვილი (არალი), ***54 კგ:*** გიორგი ბიჩინაშვილი (არალი), კახა გვირჯიშვილი, ***58 კგ:*** გიორგი ბალდოშვილი (ახალციხე), არჩილ ინასარიძე (ჭობარეთი), ***63 კგ:*** ზაზა დეკანოიძე (ასპინძა), გია გავაშელიშვილი (ჭობარეთი), ***69 კგ:*** ილია აფრიამაშვილი (არალი), გია ჯვარიძე (ჭობარეთი), ***76 კგ:*** ჯამბულ შავიძე (ოშორა), გიორგი ცინაძე (ასპინძა), ***85 კგ:*** ზაქრო ჯვარიძე (ჭობარეთი), თემურ მსხვილიძე (ახალციხე).

შეჯიბრების ჩატარებას უხელმძღვანელა ასპინძის რაიონის სპორტსკოლამ (დირექტორი ლიზა ბარამიძე). ორგანიზატორებს დახმარება გაუწია ასპინძის გამგეობამ და განათლების განყოფილებამ.

## სოცარი ბავშვები ტანვარჯიშის სპორტსკოლიდან

მაისი ნაყოფიერი გამოდგა თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სკოლის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) აღსაზრდელთათვის, რომლებმაც ტანვარჯიშის სამ სახეობაში – მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკასა და ბატუტზე ხტომებში იასპარეზეს დიდ საერთაშორისო ტურნირებში. მხატვრული ტანმოვარჯიშეები ქეთი ბაკურაძე სინიორებში და ნინი ქერქაძე იუნიორებში პოლონეთის ქალაქ შეცენში გამოდიოდნენ. ქეთი ბაკურაძემ (მწვრთნელი ბელა კობალაძე) საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი, ხოლო გურზებით ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნინი ქერქაძემ მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაც ურიგო შედეგი როდია გამოუცდელი სპორტსმენისათვის.



*ოსტატი და შეგირდი – ვალერი ჩხაბერიძე და ლუბოვ გოლოვინა*

სპორტულ აკრობატიკაში კრასნოდარის დიდი საერთაშორისო ტურნირი ვასილ მაჩუგას თასზე ჩატარდა. აქ ათი წლის ნიჭიერი აკრობატი გიორგი ექიზაშვილი (მწვრთნელი ნუგზარ ძუკაევი) 10-12 წლის ბავშვთა შორის მეორე ადგილზე გავიდა.

განსაკუთრებით საამაყო იყო შვედეთის ქალაქ ჰერლუნგანში გამართულ ბატუტისტთა ასაკობრივ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ლუბოვ გოლოვინა (მწვრთნელი ვალერი ჩხაბერიძე), ამ პატარა, არაჩვეულებრივმა, ნიჭიერმა გოგონამ მთელი 7,5 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული შვედი ემილია ვიდლენი და პირველობა დაისაკუთრა. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ამ გოგონას ნიჭიერება.

ლუბოვ გოლოვინასათვის ეს იყო მსოფლიო ასაკობრივ ჩემპიონატისათვის მოსამზადებელი ეტაპი, შეჯიბრება გაიმართება დანიის ქალაქ ოდენსში 29 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით.

**ნათია სხირტლაძე**

### შალვა შარიქაძის ხსოვნის ტურნირი

ეს ტურნირი, ხარაგაულის ცენტრალურ სტადიონზე გაშლილ ლეიბზე გაიმართა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით თავისუფალ ჭიდაობაში. ორ ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ხონის, ხაშურის, საჩხერის, ჭიათურის, ბაღდათის და ხარაგაულის 128 სპორტსმენი. 1984-85 წლებში დაბადებულთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს ხარაგაულელმა მამუკა გურგენიძემ, ზურაბ ორთოიძემ, მიხეილ ბერიძემ და დავით ტაბატაძემ, ქუთაისელებმა გიორგი ზვიადაძემ, მამუკა დიასამიძემ, ლაშა ირემაძემ, ამირან კოჩაძემ და ლევან დოგრაშვილმა, საჩხერელმა დავით შუკაკიძემ.

1986-87 წლებში დაბადებულებში უძლიერესები იყვნენ ხარაგაულელი რევაზ ავალიშვილი და ივანე კაციტაძე, ქუთაისელი გიორგი გოგოლაძე, თორნიკე ჩიხლაძე, მურთაზ კვესაძე, გიგა ცერცვაძე და გიორგი გველესიანი, თბილისიდან „მართვეს“ წარმომადგენელი დავით ქერაშვილი, საჩხერელი გიორგი დავიდოვი, ხაშურელები ლაშა წიქვაძე, რამაზ ლომიძე და დავით იჩქიტიძე და ხონელი მერაბ გაგიაშვილი. შალვა შარიქაძის პრიზი ქუთაისელ ლაშა ირემაძეს გადაეცა.

**ჰენრი შარიქაძე**

იყიდება გაზეთ „ლელოს“ აქციების 49 პროცენტი. იყიდება გაზეთ „ლელოს“ აქციების 49 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



ბავშვს, ყველაფერი კარგად იქნება, დედა და მამა მალე დაგიბრუნდებაო.

„ბებია და ბაბუა მესამე დღეს ჩამოვიდნენ. მთავარი იყო, სად მესწავლა. სასწავლო წლის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩებოდა. დარაბეგოვებმა გარისკეს და დედაჩემის მშობლებს სთხოვეს მათთან დავეტოვებინე, ის სასწავლო წელი ბარემ გურჯაანში დამემთავრებინა. დარაბეგოვებს ოთხი შვილი ჰყავდათ: ირინა – ჩემი კლასელი, ალბერტი, შურა და გუგული. ახლა ვფიქრობ, თბილისში მაშინ რომ წამოვეყვანეთ, სკოლას, ეზოს, უბანს, თანაკლასელებს, ტოლ-ამხანაგებს მოწყვეტა კიდევ ერთი ტრაგედია იქნებოდა ჩემთვის. სულიერად ტრავმირებულს თბილისში, ახალ გარემოსთან, მით უფრო, სკოლაში, ასე ერთბაშად შეგუება გამიჭირდებოდა."

## მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

1938 წლის 23 თებერვლის დილა თენდებოდა. ჯუღელების ოჯახს ჩვეულებრივ, მშვიდად ეძინა. იმ დროისთვის ჯერ კიდევ არჩამცხრალი ავისმაუწყებელი კაკუნი მათი ოჯახის კარზეც გაისმა. ბინის ზღურბლს სამმა კაცმა გადააბიჯა გურჯაანის „ჩეკას" უფროსის, გოგი გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

„დედამ გამაღვიძა, იმ სამი კაციდან ძია გოგი ვიცანი. რა ხდებოდა, ვერ წარმომედგინა. გოგი მამას მეგობარი იყო, პურმარილზე ჩვენთანაც ბევრჯერ ყოფილა ოჯახში. მერე და მერე ვიგრძენი, რომ ჩვენს თავს რაღაც უბედურება ხდებოდა. ავკანკალდი. დედამ მომხვია ხელი და დამაბრუნა საძინებელ ოთახში. მამა წაეყვანათ. დილით ჩაი აადუღა ლედამ, ჩაასხა ჭურჭელში და შიგ მურაბა ჩაყარა. მამას მურაბიანი ჩაი უყვარდა".

პატიმრისთვის დილით საუზმის მიტანა, თავად „ჩეკას" უფროსმა დაუბარა კოლიას მეუღლეს. ნახვის უფლება არ მისცეს, საუზმე მიიღეს მხოლოდ. პატიმრისგან წერილი გამოიტანეს, სადაც მეუღლეს არწმუნებდა, რომ ცუდი არაფერი მოხდებოდა და სიმართლე მალე გაიმარჯვებდა, ბავშვს მოუარეო – სთხოვდა. „მეორე დღეს დედა მარტო წავიდა მამას სანახავად. წინა დღეს უთხრეს, ხვალეც მოუტანეთ სანოვაგე, ვიდრე თელავის ციხეში გადაიყვანენო. დედა უჩემოდ წავიდა, მაგრამ მამა იქ აღარ დახვედრია", – თვალებში ცრემლჩამდგარი იგონებს ამ ამბავს ახლა ქალბატონი მზია. ვინ იცის, მერამდენედ!

ამის შემდეგ ნიკოლოზ ჯუღელისგან არაფერი ისმოდა. რამდენიმე თვეში ერთ ტრაგედიას ოჯახის ბოლომდე გამანადგურებელი ამბავი დაერთო – 8 მარტს, დილაადრიან, მზიას დედაც დააპატიმრეს. „მე დედამ კი არ გამაღვიძა, მოსულებმა პირდაპირ ლოგინიდან წამომაგდეს, დედა წაიყვანეს, მე სასტუმროში გადავუყვანივართ, როგორ არ მახსოვს, უგონოდ ვიყავი სტრესისაგან. თვალები რომ გავახილე თავზე მადგნენ შალვა ბოსტაშვილი და მეზობელი სონია დარაბეგოვა".

სონია დარაბეგოვა – ამ ქალმა მოგვიანებით თავისი ისტორიული გვარი დაიბრუნა და დარბაიძე გახდა – მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა უეცრად დაობლებულ გოგონას. შალვა ბოსტაშვილმა თურმე პატარა მზიას თავისთან წაყვანა მოინდომა, ვიდრე ბებია-ბაბუა ჩამოვიდოდნენ თბილისიდან. მაგრამ... აი, როგორ იგონებდა ამ ამბავს შალვა ბოსტაშვილი: „დამაშინეს, თავი გაანებე ბავშვზე ფიქრს, თორემ ტროცკისტის შვილის მფარველობისთვის შენც დაგიჭერენო". ის მეზობელი ქალი სასტუმროში არ მოშორებია მზიას. დანარჩენ მეზობლებს ჩუმად მიჰქონდათ საჭმელი. სონია დარაბეგოვა თურმე გამუდმებით ამშვიდებდა

კი მაგრამ, ვის უნდა ემტრო ხალხის საყვარელი ორი ექიმის ოჯახისთვის? ისეთი დრო იყო, დამსმენი და მოშურნე ყველა ფეხის ნაბიჯზე მოიძებნებოდა. სწორედ შურიან ადამიანებზე აქვს ეჭვი ქალბატონ მზიას. უპირველესად იმ ახალგაზრდა ექიმებზე, რომლებსაც გამოცდილი მკურნალების შურდათ და თავისი თავის დასამკვიდრებლად სხვები გაწირეს. სხვის ტრაგედიაზე საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფა მოისურვეს. „ვიცი, ვინც არიან, მაგრამ თავს შევიკავებ, იმ ადამიანებს შთამომავლობა ჰყავს".

მაგრამ როგორც ჩანს, კეთილი ხალხი იმ დროშიც მოიძებნებოდა. ერთ დღეს დარაბეგოვების ოჯახს მილიციელი მიადგა და მზრუნველ ქალს უთხრა: „სონია, გაგვატანე მზია, დედამისი დღეს თელავში გადაჰყავთ და უნდა ვანახოთ, ოღონდ, არ გაახმაურო". ახლა მზიას მოვუსმინოთ: „სადგურზე მიმიყვანეს, დედა ვაგონში იჯდა უკვე, დამინახა თუ არა, ტირილი აუვარდა. მეუბნება: „არაფერია, ყველაფერი გაირკვევა, საქმეს, ალბათ, ერთად გაარჩევენ, უფროსებს დაუჯერეო. ჩვენ ვეხვეოდით ერთმანეთს და ვტიროდით, ხალხიც ქვითინებდა".

ქალბატონი მზია ახლაც ატირდა, როცა ეს ამბავი გაიხსენა. ...არ დაგავიწყდეთ, მამა 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს აიყვანეს და დააპატიმრეს, დედა – 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს. რა იყო ეს, უბრალო დამთხვევა, ბედის ირონია თუ გამიზნული ცინიზმი?

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო" №40, 41, 43*

*გაგრძელება იქნება*

# მენჩურუადან – დღესასწაულამდე

## საქართველოში ცურვის ხალხური სახეობები და საწყლოსნო თამაშობები აღორძინდება



შესანიშნავ თაოსნობას ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობის ეროვნულმა ფედერაციამ და საქართველოს მსოფლიოს მიღწევათა და მოგზაურთა კლუბმა – „გიორგი". ერთობლივი ძალისხმევით ეს ორი ორგანიზაცია, წლეულს, ზაფხულში, დიდი დღესასწაულის ჩატარებას გეგმავს დევიზით: „მზე, ზღვა და ფანტაზია". ფაქტობრივად, ეს იქნება ქართული ხალხური ცურვის სახეობათა და საწყლოსნო-თამაშობათა დღესასწაული. ხალხური საუნჯის გაცოცხლება და თაობებისთვის შენარჩუნება თავისთავადაა დიდი ეროვნული საქმე.

პრობლემების აქტუალობას სათავე დაუდო ამ რამდენიმე წლის წინათ „ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილმა „მენჩურუა", რომელიც სამეგრელოში ოდითგან გავრცელებული ცურვის ხალხური სახეობის აღწერას და მნიშვნელობას შეეხებოდა. მერე იყო წლეულს, 28 იანვარს, ჰენრი კუპრაშვილის მიერ ხელფეხშეკრული ცურვის დემონსტრირება, რომელიც კოლხურ-იბერიული ცურვის დემონსტრირებას წარმოადგენს და სათავე დაუდო მის აღორძინებას. იმ დღეს ჰენრი კუპრაშვილმა პირველი მსოფლიო საგინესო-სარეკორდო ასპარეზობა გამართა – 2 კმ 92 წუთში გაცურა. ამ მოვლენას საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა – 190 ქვეყნის 800 ტელეარხმა (მათ შორის სი-ენ-ენმა) მრავალგზის აჩვენა.

ამჯერად დღესასწაული – „მზე, ზღვა და ფანტაზია" 5-დან 101 წლამდე ასაკის მრავალ მოცურავეს გამოავლენს (ეს რიცხვი შემთხვევით არ დაგვიწერია – პავლე აბულაძე, ერთი მოასპარეზე, სწორედ 101 წლის არის!). ხალხური ცურვის ისეთ სახეობებში როგორიცაა: ბაყაყური, გამყვანი ცურვა. გორული მოსმა, დგომელა ცურვა, ენგურული, ანუ მეტივური ცურვა, ზურგული ცურვა, ლერწმით ცურვა, მაშველი ცურვა, მებადურის ცურვა, მესხური ტოპვა, მხარული, ანუ ორგია, ოფოფური, ქალური ცურვა, ქუთათური ცურვა, ცხენდაცხენ ცურვა, წყალქვეშ დატვირთული სიარული, წყალქვეშა ცურვა და ა.შ.

ნაჩვენები იქნება კლდიდან (კოშკიდან) ხტომისა და სიღრმეში ყვინთვის ოსტატობა და ძველთაძველი თამაშობანი – განძის ძიება, ჯვარის ამოღება და სამხედრო-სპორტულ-გამოყენებითი შეჯიბრებანი: მხედრული, მენჩურუა, ანუ წყალრკინება და ზემოთქმული ხელფეხშეკრული. თითოეული ასპარეზობა, ამავე დროს, საქართველოს მხარეთა პიროვნებებისა თუ გუნდების ღია პირველობაც იქნება.

დღესასწაულს გაახალისებს ქართული მუსიკა, სიმღერა, სიტყვა და წარმოდგენა, საუკეთესო მოცურავე ოჯახების და მოცურავე ბერიკაცების კონკურსების ფინალი, საქართველოს ზღვის დედოფლის არჩევის ცერემონიალი და, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელოვან ზღვაოსანთა და საწყლოსნო სპორტის ოსტატთა სტუმრობა და გამოსვლები.

ლაგუნა ვერეს 5 ათასი გულშემატკივრის და მილიონი ტელემაყურებლის თვალსაწიერში მოხვდება დღესასწაულის ორგანიზატორთა და მეცენატთა საფირმო ნიშნები, სარეკლამო დაფები და პროდუქცია. გაცოცხლდება გონებამახვილ და საზრიან წინაპართა სახალისო ცურვა- თამაშობანი – გაბერილი შარვლით ცურვა, მწარე გოგრით ცურვა, ტიკით ცურვა, თოკის გადაძალვა, ცხოველთა ბაძვითი ცურვები... ყველას გაახარებს ქველმოქმედთა მიერ დაწესებული პრიზებით თუ პრემიებით მონაწილეთა წახალისება, გამარჯვებულთა დაჯილდოება და ცურვა-თამაშობათა ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი...

დღესასწაული გზას დაულოცავს ჰენრი კუპრაშვილს, რომელმაც წლეულს აგვისტოში ხელფეხშეკრულმა უნდა გადაცუროს დარდანელის სრუტე; გზას დაულოცავს აგრეთვე ნუგზარ კიკნაძეს, რომელსაც შეწყვეტილი ნაოსნობის გაგრძელება – მარტოდმარტო აფრებით – თვითნაგები კრეისერული იახტით დედამიწის შემოვლა სწადია. დაბოლოს, გაგვაცნობს საქართველოს მარათონული გადაცურვების და თბილისური ტრიატლონის მონაწილეებს. ცნობისათვის: ტრიატლონის მსოფლიო ჩემპიონატი ველოსიპედით 40 კმ მანძილის გავლას, 10 კმ რბენას და 1,5 კმ ცურვას მოიცავს. თბილისური ტრიატლონის ადგილად თბილისის ზღვა და მის გარშემო საავტომობილო ტრასა მოიაზრება...

აქვე უნდა ითქვას, რომ გაწეულია წინასწარი თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები; გარკვეულია ხალხური ცურვის სახეობებსა და საწყლოსნო თამაშობებში გამორჩეული მრავალი ადამიანის მისამართი; გაიმართა ხელოვნების და სპორტის მუშაკებთან შეხვედრა-კონსულტაციები; მზად არის სცენარის პირველი ვარიანტი; ცნობილია დღესასწაულის მთავარი რეჟისორის და კომპოზიტორის სახელები... ვფიქრობთ, პროგრამა ყველას დააინტერესებს და დღესასწაული ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და გორში და სხვა მხარე-ქალაქებში გამეორდება. მსურველებს ვაცნობებთ, რომ დღესასწაულის საორგანიზაციო ანგარიშია:

*სს „საქართველოს ბანკი"*
*საკორესპონდენტო ანგარიში*
*№ 500168402 (კოდი) 220101502*
*მიმღები: კლუბი „გიორგი"*
*ანგარიშის № 003606280*
*დღესასწაულისათვის*
*საკონტაქტო ტელეფონები: 53-25-38, 92-15-69, 99-56-14, 99-83-60, 99-82-31.*
*ფაქსი: (99532) 953 829, 995 614, 998 360, 997 218.*

## „ვეფხისტყაოსანი-800"

### „ვეფხისტყაოსნის" იუბილეზე

ამ დღეებში საზეიმოდ აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის" შექმნის 800 წლისთავი. პროგრამაში სპორტული ღონისძიებებიც შედიოდა. რუსთავში გამართულ ზეიმზე ცნობილმა მოჭადრაკეებმა ნინო ხურციძემ, მაია ლომინეიშვილმა, დავით გურგენიძემ და თენგიზ გიორგაძემ ერთდროული სეანსები გამართეს, საქართველოს ღია პირად-გუნდურ შეჯიბრებაში ქართულ ჭიდაობაში კი ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

# გორელები – უნივერსიადის ჩემპიონები ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში



როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს უნივერსიადა 2001-ის პროგრამით ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში ასპარეზობას გორმა უმასპინძლა. გუშინ რედაქციაში გორიდან გამოგზავნილი ფოტოც მივიღეთ, რომელზედაც ზემოხსენებულ სპორტის ორივე სახეობაში გამარჯვებული გუნდები არიან აღბეჭდილნი თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად.

# მოგესალმებით, ქედებო!

## „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ!"

ჩვენი ტურისტული ჯგუფის უხუცეს წევრს, მის სულსა და გულს მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგი ვლადიმერ (მიტო) ნორაკიძე წარმოადგენდა. ამ ჭარმაგ მოღვაწეს თითქმის არც ერთი ლაშქრობა არ გაუცდენია. შესახედაობა, მიხვრა-მოხვრა და სულიც ახალგაზრდული ჰქონდა. მახსოვს: დიდგორიდან ძეგვში ჩასულები მატარებელში ძლივს ავედით. ვაგონში ტევა არ იყო; ბატონ მიტოს წინ ერთი მოხუცი მამაკაცი იჯდა, რომელმაც ბოდიში მოუხადა ჩვენს უხუცეს წევრს – დაგითმობდი ადგილს, მაგრამ შენზე გაცილებით მოხუცი ვარ და მეპატიებაო. ყველას გაგვეცინა. გაოგნებულმა მგზავრმა ბ-ნ მიტოს ასაკის შესახებ ჰკითხა. მგზავრი 10 წლით უმცროსი აღმოჩნდა ჩვენს 88 წლის პროფესორზე. ამ ამბის შემსწრე მგზავრები სიცილით მიიწმოიწივნენ და როგორც იყო, ჩასვეს ჭაღარა ტურისტი.

ცხოვრების წლებით დამძიმებული ორი მგზავრი თბილად გამოემშვიდობა ერთმანეთს თბილისის ბაქანზე.

## „კაგებეთი" გვაშინებდა

ჩვენს ტურისტულ ჯგუფს ბევრი გაზეთი უწევდა პროპაგანდას და ახალი |ავრის შემომატება ხშირი მოვლენ: იყო. მთავარი, რაც გვაფიქრებდა, იყო ის, რომ ახალ წევრს რაიმე არასასიამოვნო დისონანსი არ შემოეტანა ჯგუფის საერთო ცხოვრებაში. თუ ასეთი უქმური შემოგვემატებოდა, მისი მოცილების ხერხიც გაგვაჩნდა...

ერთი კვირა დილას, ლაშქრობის სტარტზე მოგვადგა სოლიდური ასაკის ქალბატონი. გზაში ხშირად ვიხსენებდით ანეგდოტებს, მათს შორის – პოლიტიკურ თემაზეც.

შესვენებისას ამ ქალბატონმა განგვიცხადა: აქ ზოგჯერ პოლიტიკური ანეგდოტები მესმის, და ნუ დაივიწყებთ, რომ მე „კაგებეშნიკის" მეუღლე ვარ და, ამას ნუ აკეთებთ ჩემი თანდასწრებითო.

მომდევნო ლაშქრობის წინ, მეგობარი ტურისტები ჩავაყენე საქმის კურსში და ვთხოვე ლაშქრობაში წამოსულიყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც კარგად იყვნენ მომზადებულები.

ავირჩიე ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და მომქანცველი მარშრუტი. ლაშქრობის დროს ამ ქალბატონს შემოეგლიჯა ფეხსაცმელები და ლაშქრობის დასასრულს ძლივს მიფრატუნდა ტრანსპორტამდე.

იმ დღიდან იგი ახლოს აღარ გაგვკარებია.



**ავთანდილ ციბაძის ჩანახატები ტურისტულ თემაზე**



# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ● შესარჩევი მატჩი

**5 ივნისი. ბუდაპეშტი. სტადიონი „ვაშაში“. 5000 მაყურებელი.**

## უნგრეთი — საქართველო 2-1

**უნგრეთი:** ტაფახი, ქეპეში, კოროლოვსკი, ზაბოში (უდვარი 60), ბოზატი (ბეჟაკი 53), ბოგნარი, ლალიმოში (ტერიეკი 64), შამეკი, სავიჩი, გერა, ბოდნარი.

**საქართველო:** ლომაია, საჯაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ჯ. მუჯირი, გველესიანი, დევიძე (კაკაშვილი 89), დიღმელაშვილი, კოროღლიძე (ნოზაძე 64), ასათიანი (ბურდული 35), მელქაძე.

***გოლები:*** 0-1 მელქაძე (44), 1-1 ბოდნარი (61 პ), 2-1 ტერიეკი (90).

***გააფრთხილეს:*** ბოდნარი, გერა; დიღმელაშვილი, მელქაძე, საჯაია.

***მსაჯი:*** ს. ზრნიჩი (ბოსნია-ჰერცოგოვინა).

UEFA UNDER-21 Championship

# უკვე ხუთგზის ოროსნები

როგორც ჩანს, წლევანდელ შესარჩევ ციკლში, ჩვენი ახალგაზრდების საშველი არ არის. გინდა მწვრთნელი გამოცვალე, გინდა შემადგენლობა, სასიკეთო არაფერია, ფორტუნამაც ზურგი გვაქცია. ხუთი მატჩი — ხუთი მარცხი! საგანგაშო შედეგია, თუ ამდენ ნულებს სატურნირო ცხრილში საერთოდ, შედეგი შეიძლება ეწოდოს.

არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი — მთელი ტურნირის მანძილზე ნაკრები პირველად დაწინაურდა უნგრეთში. მასპინძლების ზეწოლის მიუხედავად, ქართველი ჭაბუკები მშვიდად თამაშობდნენ, ზოგიერთ ეპიზოდებში მეტოქეს სჯობდნენ კიდეც, რასაც პირველი ტაიმის ბოლოს მელქაძის გოლი მოჰყვა. მატჩის სურათი მკვეთრად, არც მეორე ტაიმში შეცვლილა, უნგრელები ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრებიც უტევდა და ვინ იცის რა მოხდებოდა, თანაბარ ძალთა ჭიდილში, მატჩის არბიტრი რომ არ ჩარეულიყო. მასპინძლებმა ანგარიში მსაჯის მიერ მოგონილი პენალტით გაათანაბრეს. მეორე ნახევრის დარჩენილ დროში ქართველთათვის სანერვიულო და თავსატეხი ისევ მსაჯის ქმედებები უფრო იყო, ვიდრე მეტოქის თამაში. მატჩი თავდებოდა, როდესაც უნგრელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს. დასანანი მარცხი იწვნია საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა. შეხვედრის ფრედ დამთავრების შანსიც კი ბოლო წამებზე გაუშვეს ხელიდან. მერვე ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. რუმინელებმა ლიტვაში სამი ქულა მოიპოვეს. ჯგუფს ორი ლიდერი ჰყავს, იტალია და რუმინეთი.

### VIII ჯგუფი

**უნგრეთი — საქართველო 2-1**
**ლიტვა — რუმინეთი 0-1**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| **რუმინეთი** | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| **უნგრეთი** | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| **ლიტვა** | 6 | 1 | 0 | 5 | 3-11 | 3 |
| **საქართველო** | 5 | 0 | 0 | 5 | 4-12 | 0 |

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**6 ივნისი. ბუდაპეშტი. „ნეპშტადიონი“. 10.000 მაყურებელი**

## უნგრეთი — საქართველო 4-1

**უნგრეთი:** კირალი, დ. კორსოში, პეტო, მატიუში, შებოკი, ჰალმაი (დარდაი 70), კაბატი, ლისტეში (დედვაი 80), ჰორვატი, ილიში, ა. კორსოში (დომბი 77).

**საქართველო:** ზოიძე, კობიაშვილი, აბრამიძე, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე (თოდუა 67), ნემსაძე (ქემოკლიძე 67), ა. არველაძე, ქეცბაია, ყველაშვილი (ქინქლაძე 53), შ. არველაძე.

***გოლები:*** 1-0 მატიუში (40), 2-0 შებოკი (45 პენ), 3-0, 4-0 ა. კორსოში (55, 62), 4-1 კობიაშვილი (77).

***გააფრთხილეს:*** ჰალმაი, მატიუში, ჰორვატი; ნემსაძე, აბრამიძე.

***მსაჯი:*** ჰ. შტრამპე (გერმანია).

# შევრცხვით და გაგვაბითურეს...

ასე უმწეო და უსუსური საქართველოს ეროვნული ნაკრები შესარჩევი ციკლის არც ერთ მატჩში არ ყოფილა. ფაქტობრივად, ერთი დონის გუნდების პაექრობაში მხოლოდ მასპინძლები ჩანდნენ. ჩვენმა ნაკრებმა, რომელიც დღითიდღე კარგავს თავის სახეს, ის მწირი შესაძლებლობებიც ვერ გამოავლინა, რისი უნარიც ნამდვილად შესწევს. მაშინ, როცა კონტრშეტევებზე უნდა აეგო თამაში, გუნდი იერიშებზე უფრო მეტს ფიქრობს. შინ კი, იმ შეხვედრებში, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგო, საერთოდ თავდამსხმელის გარეშე იწყებს მატჩებს. ვერაფერს იტყვი, ბრძნული გადაწყვეტილებაა. სამწუხაროდ, ქართულ-უნგრული საკლუბო დაპირისპირების ჩვენთვის გულდასაწყვეტი ტრადიცია ახლა სანაკრებო დონეზე იწყებს გავრცელებას. საქართველოს ნაკრები უნგრელებს ღია თამაშში აჰყვა, რამაც ქართველთა დაცვის სრული მოშიშვლება გამოიწვია, შეტევას კი არაფერი არგო. პირწმინდად წაგებულ მატჩში ერთი გოლის გაქვითვა ვერაფერი ნუგეშია.

უნგრეთში განცდილი მარცხი ნაკრების თავს დატრიალებული გაუგებრობებისა და შინაშლილობის ლოგიკური შედეგია.

### VIII ჯგუფი

**ლიტვა — რუმინეთი 1-2**
**უნგრეთი — საქართველო 4-1**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 6 | 5 | 1 | 0 | 15-3 | 16 |
| **რუმინეთი** | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| **უნგრეთი** | 5 | 2 | 2 | 1 | 13-7 | 8 |
| **საქართველო** | 5 | 1 | 0 | 4 | 6-10 | 3 |
| **ლიტვა** | 6 | 0 | 1 | 5 | 3-18 | 1 |

ბავშვთა ფეხბურთი

# „თბილისი“ და „ვაკე“ — საუკეთესონი

სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზში ორ ასაკობრივ ჯგუფში (1984-85 და 1986-87 წლებში დაბადებულები) ჩატარდა შეჯიბრება მინი ფეხბურთში თბილისის რაიონების და სპორტსკოლების 12-12 გუნდის მონაწილეობით.

პატარების ფინალში „თბილისმა“ (მწვრთნელი სოსო სირაძე) 1-0 დაამარცხა „დიდუბე“ (გია ნათობიძე), მე-3 ადგილისთვის „ჩუღურეთმა“ (დავით წიკლაური) 6-3 მოუგო 35-ე სკოლას (ავთანდილ შენგელია).

გამოვლინდნენ საუკეთესო მოთამაშეები: მეკარე — რატი დოლიძე (35-ე სკ), მცველი — გივი ხუხუნაიშვილი („თბილისი“), თავდამსხმელი — ანდრო ელიზბარაშვილი („დიდუბე“), ბომბარდირი — გიორგი ქუცურუა („ჩუღურეთი“, 17 გოლი), საუკეთესო მოთამაშე — ლაშა ნეფარიძე („დიდუბე“).

უფროსების ფინალში „ვაკემ“ (ზურაბ ხუბაევი) 2-0 მოუგო 35-ე სკოლას (თემურ დოლიძე). მე-3 ადგილისთვის „საბურთალომ“ (როლანდ კორკოტაშვილი) 3-0 სძლია „კრწანისს“ (გიორგი ლაპიაშვილი).

საუკეთესო მეკარე გახდა ბექა გერაძე, მცველი — ალეკო ხვედელიძე — ორივე „საბურთალო“), თავდამსხმელი — დიმიტრი შანავა („ვაკე“), ბომბარდირი — ლაშა ქიტუაშვილი (35-ე სკ., 6 გოლი), საუკეთესო მოთამაშე ლევან კობაიძე (35-ე სკ).



# პატარების დიდი ტურნირი ბათუმში იტალიელთა მონაწილეობით

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ნორჩ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 1989-1990 წლებში დაბადებულთათვის. მონაწილეობდნენ იტალიის „ანკონა“, ერევნის საფეხბურთო სკოლა. თბილისისა და ბათუმის „დინამოს“ ორ-ორი გუნდი, ბათუმის საფეხბურთო სკოლა, „ლუკა“. ფოთის „კოლხეთი“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, დედაქალაქის 35-ე სკოლის „საბურთალო“ და სოხუმის „დინამო“.

პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში თბილისის „საბურთალოს“ ბიჭებმა დიდი უპირატესობით 5-1 დაამარცხეს იტალიის „ანკონას“ თანატოლები და ფინალში გავიდნენ, ხოლო მეორე ნახევარფინალში ბათუმის „დინამოს“ პირველმა გუნდმა მინიმალური ანგარიშით 1-0 აჯობა ფოთის „კოლხეთს“.

ტურნირის ბოლო დღეს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მესამე ადგილისათვის პაექრობამ „ანკონასა“ და „კოლხეთს“ შორის. ძირითადი დრო დასრულდა ფრედ — 0-0. პენალტების სერიათა ჯამში 3-2 გამარჯვება იზეიმეს იტალიელმა ფეხბურთელებმა.

და აი, ფინალიც. აქ ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ თბილისის „საბურთალო“ და ბათუმის „დინამო-1“. თავიდანვე აშკარა გახდა სტუმრების უპირატესობა და გაიმარჯვეს კიდეც 8-2 (მწვრთნელი მალხაზ რაზმაძე).

სპეციალური პრიზები ერგოთ: მეკარე ავთანდილ ცერცვაძეს, მცველ გიორგი სკრიპინს (ორივე — „საბურთალო“), ნახევარმცველის — გიორგი ალასანიას, („კოლხეთი“), საუკეთესო გოლისათვის — რიკარდო მოლიანს (იტალია), ბომბარდირის — თორნიკე უხურგუნაშვილს („საბურთალო“), საუკეთესო მოთამაშის — გიორგი ბერიძეს „დინამო„-1 (ბათუმი).

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს“ საკ. კორ. ბათუმი.**

# ფეხბურთი რეგიონებში

## ზესტაფონში კვლავ იზრდებიან ფეხბურთის მომავალი ოსტატები

ზესტაფონელებს ფეხბურთისადმი სიყვარული ტრადიციულად მოსდგამთ. აქაური გუნდები ყოველთვის აძლევდნენ შევსებას საქართველოს საფეხბურთო ელიტას. გავიხსენოთ თუნდაც გურამ პეტრიაშვილი.

დღეს რაიონში ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდის კერად თამამად შეიძლება ჩაითვალოს საფეხბურთო სკოლა „შევარდენი“, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ფეხბურთში, ეროვნული კატეგორიის მსაჯი გია საყვარელიძე.

სკოლა უკვე 6 წელიწადია ამზადებს ფეხბურთელებს. სექციებში 200-მდე ბავშვი ეუფლება ფეხბურთის ანბანს. სხვადასხვა დროს აქ მწვრთნელებად მუშაობდნენ გამოცდილი სპეციალისტები ზაურ ჩუბინიძე, ნუგზარ ვარდოსანიძე, ჯემალ მაღლაკელიძე, სერგო გლინიანოვი, ალეკო და მამუკა ფუტკარაძეები, გენო ფხალაძე, გურამ მაზმიშვილი და სხვები.

სკოლას მუშაობის თავისებური სტილი აქვს. ცალკე მეკარეებს ავარჯიშებენ, ცალკე მცველებს და ნახევარმცველებს, ცალკე თავდამსხმელებს. აუდიტორიებში მეცადინეობებზე თვალსაჩინოებებით განიხილავენ სათამაშო ვარიანტებს, უჩვენებენ მსოფლიო, ევროპის და სხვადასხვა ტურნირების ამსახველ ვიდეომასალას, საუბრობენ პატრიოტიზმზე, პროფესიონალიზმზე...

1997 წელს „კოკა-კოლას“ თასის გათამაშებაში წარმატებისთვის სკოლის აღსაზრდელები დაჯილდოვდნენ სპორტული ფორმებით. მიხეილ მესხის თასის გათამაშებაში სკოლა გამოდიოდა „შევარდენის“ ორი გუნდით, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. იმავე წელს გურჯაანში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში ზესტაფონელები მეორე ადგილზე გავიდნენ. 1998 წელს სამი გუნდით წარსდგა მიხეილ მესხის თასის გათამაშებაში, სადაც ერთ-ერთმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. 1999 წელს უკვე ხუთი გუნდი მონაწილეობდა ამ შეჯიბრებაში. იასპარეზეს აგრეთვე სლავა მეტრეველის და გივი ჩოხელის ტურნირებში.

შარშან ზესტაფონში მიიწვიეს ერევნის ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სკოლის სამი ასაკობრივი გუნდი. „შევარდენის“ ექვსი გუნდი თითო მატჩში ეთამაშა სტუმრებს. აქედან ოთხი მოიგო, ერთი წააგო, და ერთიც ფრედ დაასრულეს. შემდეგ იმერლები ჩავიდნენ ერევანში და იქ ექვს მატჩში ორჯერ გაიმარჯვეს, ერთი ფრედ ითამაშეს, სამი კი წააგეს.

„შევარდენში“ აღზრდილი ფეხბურთელები რაჟდენ მერკვილიშვილი, ლევან შავგულიძე და გიორგი ქურციკიძე „მარგვეთში“, ლევან მახათაძე კი „მორკინალში“ მიიწვიეს. ამჟამად ადგილობრივ „მეტალურგში“ ირიცხებიან დიმიტრი ჭანკვეტაძე, გოჩა კვანტრიშვილი და ირაკლი მშვენიერაძე. „გურიასა“ და „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავენ ირაკლი ნასრაძე, ონისე შველიძე, სერგო ორბელაძე, კოტე თავბერიძე, სოსო წიქარიშვილი, „დინამო-2“-ში — გოჩა ბოგვერაძე და ბესიკ ნებიერიძე, თბილისის „ოლიმპიკში“ — რეზო ხუჭუა. ახლახან 10-15 წლის მოზარდების ერთ-ერთმა მწვრთნელმა გელა მენაბდემ სპეციალური საჩვენებელი შეხვედრები გამართა თბილისში, სადაც შეირჩა პერსპექტიული ფეხბურთელები. სკოლა მხოლოდ შემოწირულობითა და მშობელთა ხარჯზე მუშაობს, მოედნებს კი უსასყიდლოდ უთმობენ ქალაქის №4 და №6 საშუალო სკოლის ხელმძღვანელები, განათლება, სპორტული სკოლა, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი.

რაიონის გამგეობამ „შევარდენს“ გადასცა მიწის ფართობი მოედნის მოსაწყობად, სადაც გააკეთა დრენაჟი და ჩატარდა ყველა შავი სამუშაო. მალე სკოლას თავისი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა ექნება.

**ჰენრი შარიძაძე**

## სამეგრელოში ქუჩის ფეხბურთი სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს

სამეგრელოს რეგიონის ფედერაციამ მიმდინარე წლის 29-31 მაისს ზუგდიდში ჩაატარა საქართველოს მოსწავლეთა 2001 წლის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გათამაშება ქუჩის მინიფეხბურთში ერთ წრედ. მონაწილეობდა ზუგდიდის, ფოთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. გათამაშებას თავი აარიდეს აბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის რაიონებმა. პირველი ადგილი და რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის სამახსოვრო თასი მოიპოვა ფოთის ნაკრებმა (მწვრთნელები მამუკა ბაჯალაძე, გია ლომინაშვილი), მეორე ადგილზეა წალენჯიხის გუნდი (მწვრთნელები გურამ ქარჩავა, გურამ შელია), მესამეზე — ზუგდიდის ნაკრები (მწვრთნელები ოთარ თუთბერიძე, ოთარ ძალამიძე). დასახელებული გუნდები, მათი მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის დიპლომებით, დაკომპლექტდა სამეგრელოს რეგიონის ნაკრები, რომელიც საქართველოს რეგიონებს შორის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

**ჯემალ გობია**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

**I ჯგუფი**

**შვეიცარია — სლოვენია 0-1**
ციმეროტიჩი (82).
**ფარერები — იუგოსლავია 0-6**
სტანკოვიჩი (20), კეჟმანი (29), სტაჟკოვიჩი (55), მილოშევიჩი (68), კეჟმანი (87, 90).
**ლუქსემბურგი — რუსეთი 1-2**
0-1 ალენიჩევი (16), 1-1 შნაიდერი (47), 1-2 სემაკი (76).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 10-3 | 17 |
| სლოვენია | 7 | 3 | 4 | 0 | 11-7 | 13 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 14-6 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 3 | 1 | 11-4 | 9 |
| ფარერები | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |
| ლუქსემბურ. | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

**II ჯგუფი**

**პორტუგალია — კვიპროსი 6-0**
პაულეტა (36), ბარბოზა (55), ბარბოზა (59), პაულეტა (71), ჟოაო პინტუ (76), ჟოაო პინტუ (81).
**ესტონეთი — ირლანდია 0-2**
დაფი (8), ჰოლანდი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 5 | 3 | 0 | 18-5 | 18 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 3 | 0 | 18-5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21-8 | 14 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-22 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4-25 | 0 |


პორტუგალია – კვიპროსი

**III ჯგუფი**

**ჩეხეთი — ჩრ. ირლანდია 3-1**
1-0 კუკა (40), 1-1 მაღრინი (45), 2-1 კუკა (88), 3-1 ბაროში (90).
**დანია — მალტა 2-1**
0-1 მალია (8), 1-1, 2-1 სანდი 43, 83).
**ისლანდია — ბულგარეთი 1-1**
1-0 დადასონი (43), 1-1 ბერპატოვი (81).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 4 | 3 | 0 | 13-5 | 15 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-3 | 14 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-7 | 14 |
| ისლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| ჩრდ. ირლან. | 7 | 1 | 1 | 5 | 6-11 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2-18 | 1 |

**IV ჯგუფი**

**შვედეთი — მოლდოვა 6-0**
1-0, 2-0, 3-0, 4-0 ლარსონი (37, პენ. 58, 68 პენ, 79 პენ), 5-0 ალექსანდერსონი (74), 6-0 ანდერსონი (77).
**თურქეთი — მაკედონია 3-3**
0-1 საკირი (7), 0-2 სერაფიმოვსკი (20), 1-2, 2-2 ალფაი (43, 58), 2-3 ნიკოლოვსკი (62), 3-3 ალფაი (70).
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი 2-0
ვასილიევი (26), ტაგი-ზადე (55).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 13-1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 13-6 | 15 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 9-10 | 6 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-11 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 2-13 | 3 |

**V ჯგუფი**

**უკრაინა — უელსი 1-1**
1-0 ზუბოვი (44), 1-1 ჰემბრიჯი (80).
**ნორვეგია — ბელარუსი 1-1**
0-1 ბელკევიჩი (23), 1-1 კარეუ (80)
**სომხეთი — პოლონეთი 1-1**
0-1 კალუჟნი (4), 1-1 პეტროსიანი (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-6 | 17 |
| ბელორუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| უკრაინა | 7 | 2 | 4 | 1 | 7-7 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 5 | 2 | 7-9 | 5 |
| ნორვეგია | 7 | 0 | 4 | 3 | 5-8 | 4 |
| სომხეთი | 7 | 0 | 4 | 3 | 6-12 | 4 |

**VI ჯგუფი**

**სან-მარინო — ბელგია 1-4**
0-1 ვილმოტსი (10), 1-1 სელვა (11), 1-2 ვერჰეიენი (60), 1-3 სონკი (68), 1-4 ვილმოტსი (89 პენ.).
**ლატვია — ხორვატია 0-1**
ბალაბანი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 23-5 | 14 |
| ხორვატია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| სან-მარინო | 7 | 0 | 1 | 6 | 3-26 | 1 |

**VII ჯგუფი**

**ისრაელი — ესპანეთი 1-1**
1-0 რევივო (4), 1-1 რაული (63).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| ლიხტენშტ. | 6 | 0 | 0 | 6 | 0-16 | 0 |

**IX ჯგუფი**

**ალბანეთი — გერმანია 0-2**
რემერი (28), ბალაკი (68).


შვედეთი – მოლდოვა
ლარსონი – 4 გოლი


ისრაელი – ესპანეთი


საბერძნეთი – ინგლისი

**საბერძნეთი — ინგლისი 0-2**
სქოულზი, ბექჰემი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13-5 | 16 |
| ინგლისი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-10 | 3 |


ალბანეთი – გერმანია


უკრაინა – უელსი

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

შესარჩევი მატჩები

**I ჯგუფი**

შვეიცარია — სლოვენია 2-1
ლუქსემბურგი — რუსეთი 0-10

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 0 | 14-5 | 11 |
| რუსეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 17-5 | 11 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-27 | 0 |

**II ჯგუფი**

ესტონეთი — ირლანდია 0-3
პორტუგალია — კვიპროსი 7-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-3 | 16 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| ირლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 6-6 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

**III ჯგუფი**

დანია — მალტა 3-0
ჩეხეთი — ჩრ. ირლანდია 4-0
ისლანდია — ბულგარეთი 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16-5 | 18 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| დანია | 7 | 2 | 3 | 2 | 11-9 | 9 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| ჩრ.ირლანდია | 7 | 2 | 1 | 4 | 9-14 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 1-13 | 2 |

**IV ჯგუფი**

აზერბაიჯანი — სლოვაკეთი 0-0
თურქეთი — მაკედონია 2-0
შვედეთი — მოლდოვა 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-3 | 16 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 14 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-16 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 1 | 5 | 3-11 | 4 |
| მაკედონია | 7 | 1 | 0 | 6 | 4-15 | 3 |

**V ჯგუფი**

სომხეთი — პოლონეთი 2-0
უკრაინა — უელსი 1-0
ნორვეგია — ბელარუსი 5-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 0 | 2 | 19-7 | 15 |
| უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 11-9 | 13 |
| ბელარუსი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-8 | 12 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-11 | 11 |
| სომხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-13 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-17 | 0 |

**VI ჯგუფი**

ლატვია — ხორვატია 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ლატვია | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**VII ჯგუფი**

ისრაელი — ესპანეთი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ისრაელი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-10 | 6 |
| ავსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ბოსნია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

**IX ჯგუფი**

საბერძნეთი — ინგლისი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| გერმანია | 5 | 3 | 1 | 1 | 14-5 | 10 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-13 | 1 |


თურქეთი – მაკედონია



## პიზარო – „ბაიერნში“

ბრემენის „ვერდერის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გუნდი დატოვა პერუს ნაკრების თავდამსხმელმა კლაუდიო პიზარომ. ის გადადის მიუნხენის „ბაიერნში“, რომელმაც ამ 22 წლის ნიჭიერ თავდამსხმელში ექვსნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადა. პიზაროს შეძენა სურდათ აგრეთვე ისეთ საფეხბურთო გრანდებს, როგორებიცაა: „რეალი“ და „ბარსელონა“. პიზარო „ვერდერში“ გადავიდა 1999 წელს პერუს გუნდიდან „ალიანსა ლიმა“. გასულ სეზონში ბუნდესლიგაში პიზაროს ანგარიშზეა 19 გატანილი გოლი.


ნორვეგია – ბელარუსი



## ბენიტესი – „ვალენსიაში“

ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის გუნდის „ტენერიფეს“ მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს „ვალენსიასთან“. ის წელიწადში მიიღებს 750 000 დოლარს. ბენიტეს სურდა ოთხწლიანი კონტრაქტი, მაგრამ „ვალენსიის“ ხელმძღვანელობა დათანხმდა ორწლიანს, რითაც გააგრძელა თავისი პოლიტიკა მწვრთნელთა კონტრაქტის მიმართ, ანუ ისევე, როგორც ბენიტეს წინამორბედებს ექტორ კუპერსა და კლაუდიო რანიერისაც თავის დროზე მხოლოდ ორწლიანი კონტრაქტები შესთავაზეს. „ვალენსიას“ გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ბენიტესი სწორედ ის მწვრთნელია, რომელსაც ისინი ასე გულმოდგინედ ეძებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ქართველი ბელგიაში

ბელგიის ჩემპიონატში, სადაც 18 კლუბი თამაშობს, 2000-2001 წლების სეზონში ორი ქართველი გამოდიოდა: გელა შეყილაძე და ლაშა ჯაკობია.

გელა შეყილაძის „ლირსი" მეათე ადგილზე გამოვიდა. ქართველმა მცველმა 25 მატჩში (2201 წუთი) მიიღო მონაწილეობა. 1 გოლი გაიტანა, 1 ყვითელი ბარათი და 3 წითელი მიიღო.

ლაშა ჯაკობიამ მე-16 ადგილზე გამოსულ „ალსტში" სამი მატჩი (43 წუთი) ითამაშა, 1 გოლი გაიტანა.


პეტი (№17)

## პეტი „ჩელსიში" გადადის

ერთი წლის წინ საფრანგეთის ნახევარმცველი ემანუელ პეტი „არსენალიდან" „ბარსელონაში" გადავიდა. სანამ იგი ინგლისში თამაშობდა, აკრიტიკებდა პრემიერ-ლიგას, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ბარსელონაში" არაფერი გამოუვიდა, ისევ ინგლისში დაბრუნება მოინდომა.

პეტის შეძენა „არსენალს" სურდა, აგრეთვე „ფულჰემსა" და „ტოტენჰემ ჰოტსპურს", მაგრამ ყველას „ჩელსიმ" დაასწრო და „ბარსელონას" 12 მილიონი დოლარი გადაუხადა.

## ქართული „სკონტო" ლიდერიცაა და თასის მფლობელიც

რიგის „სკონტო" ახლა ჩემპიონობის მთავარი კანდიდატია. კლუბმა, სადაც ჩვენი ლეგიონერები რეხვიაშვილი, მენთეშაშვილი, კორღალიძე, ჩალაძე და კვარაცხელია თამაშობენ, „დინაბურგის" დამარცხების შემდეგ ანგარიშით 2-0 ლატვიის თასი მოიპოვა.

## თერიმს მსოფლიო ჩემპიონი დაეხმარება

თურქი ფატიხ თერიმი, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს „მილანს", აპირებს თავის თანაშემწედ მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ჯანკარლო ანტონიონი მიიწვიოს. ანტონიონიმ უკვე განაცხადა თანხმობა.

მთელი თავისი სპორტული საქმიანობის დროს ანტონაონი „ფიორენტინასთან" იყო დაკავშირებული. სანამ თერიმი ამ კლუბში მუშაობდა, ანტონიონი ეხმარებოდა მას, მაგრამ შემდეგ უმუშევარი დარჩა.

„მილანში" ანტონიონი გუნდის დაკომპლექტების საკითხებზე იმუშავებს. 20 წლის წინათ მას „მილანი" ეპატიჟებოდა როგორც მოქმედ ფეხბურთელს, მაგრამ ანტონიონიმ ფლორენციაში დარჩენა არჩია.

## მხოლოდ პენალტების სერიით

7 ათასი მაყურებელი ესწრებოდა ერევნის „რაზდანის" სტადიონზე სომხეთის თასის ფინალურ მატჩს „მიკასა" და „არარტს" შორის. ძირითადმა დრომ უპირატესობა არც ერთ მხარეს არ მოუტანა: 1-1 პენალტების სერიით გაიმარჯვა „მიკამ".

## „შაფა" - აზერბაიჯანის თასის მფლობელი

პირდაპირ გასაოცარია — აზერბაიჯანის თასის ფინალურ მატჩს ბაქოში სულ 500 კაცი ესწრებოდა. ერთმანეთს კი შეხვდნენ სწორედ ბაქოს კლუბები „ნეფთჩი" და „შაფა".

ანგარიში 2-1 გაიმარჯვა „შაფამ", რომელსაც ასკერ აბდულაევი წვრთნის. კლუბი მთელი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად დაეუფლა ამ საპატიო ჯილდოს და მონაწილეობას მიიღებს უეფას თასის გათამაშებაში.

## ერთ მატჩში 10 გოლი გაიტანა

რუსეთის მეორე დივიზიონის სამხრეთის ზონაში რომ მაინცდამაინც მაღალი კლასის გუნდები არ თამაშობენ, ეს თავისთავად ცხადია. ასეა, მაგრამ „კრასნოდარ-2000"-ისა და მინერალური წყლების „ლოკომოტივ-ტაიმის" მატჩის ანგარიში მაინც გასაოცარი იყო: 16-1 კრასნოდარელთა სასარგებლოდ, ამასთან, 10 ბურთი თავდამსხმელმა იგორ კისელიოვმა გაიტანა. მის ანგარიშზეა 21 გოლი 10 მატჩში.

ის, რაც ამ მატჩში მოხდა, რა თქმა უნდა, თავისებური რეკორდია. საინტერესოა, რომ დამარცხებული მხარე არც კი ფიქრობდა დანებებას, ბოლომდე იბრძოდა, კარგად იყო მომზადებული ფიზიკურად. ეს კია, რომ ფეხბურთის თამაში... არავინ იცოდა!

აქამდე რუსეთის დივიზიონებში გოლების გატანის ასეთი რეკორდები აღინიშნა: 8-8 გოლის ავტორები გახდნენ ანდრეი ტიხონოვი (მოსკოვის „სპარტაკის" მეორე შემადგენლობა — „რეკორდი", 1993 წელს), სერგეი მასლოვი („როსტსელმაში — 2" — „ირისტონი" 9-2 1999 წელს), გენადი კორეინი (ანაპის „სპარტაკი" — ნალჩიკის „სპარტაკი-2 13-0).

ვარლამ კილასონიამ 1996 წელს სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივ-სატურნის" შემადგენლობაში 7 გოლი გაუტანა „ზარიას" მატჩში, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 9-0.

## ბარბეროში ან მუჯირი

დათო მუჯირი მთელი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით თამაშობს „შერიფში", რომელიც ახლა მოლდავეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია. ქვეყნის ჩემპიონატში 8 კლუბი იბრძვის 4 წრედ. ახლა, როცა ამ შეჯიბრების დამთავრებამდე თითქმის აღარაფერი რჩება, „შერიფს" 61 ქულა აქვს და მეორე ცნობილ კლუბს „ზიმბრუს" ერთი ქულით უსწრებს. დანარჩენი კლუბები პირველი ადგილისათვის ბრძოლაში უკვე კარგა ხანია აღარ მონაწილეობენ: ახლა მესამეა „ტილიგული", რომელსაც მხოლოდ 41 ქულა აქვს.

რაც შეეხება სნაიპერთა ბრძოლას, აქ მუჯირის მთავარი მეტოქეა მისივე თანაკლუბელი ბარბეროში. ორივეს 15-15 გოლი აქვს გატანილი.

## ხულიგნობას არ აპატიებენ

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამი მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია ვიგოს „სელტას" რუს ლეგიონერ ვალერი კარპინს, რომელმაც „ნუმანსიასთან" მატჩში, მოწინააღმდეგეს, თამაშის 90-ე წუთზე სილა უთავაზა.


რონალდო

## სამედიცინო ვერდიქტი: რონალდოს მკურნალობა აღარ სჭირდება

როგორც სამედიცინო კონსილიუმმა დაადგინა, მილანის „ინტერის" თავდამსხმელ რონალდოს არავითარი მკურნალობა აღარ სჭირდება და ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშის დაწყება. ამასთან, რახან იტალიის ჩემპიონატის დასასრულამდე თითქმის აღარაფერი რჩება, საეჭვოა, რომ რონალდო მინდორზე გამოვიდეს.

ფრანგმა ქირურგმა ჟერარ სეიანმა, რომელმაც ორჯერ გაუკეთა ოპერაცია ფეხბურთელს, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „რონალდო სათამაშოდ სრულიად მზად არის და ახლა იგი გამოვა თუ არა მინდორზე, ეს უკვე „ინტერის" კომპეტენციაა".

„ინტერის" ხელმძღვანელობა არ აპირებს რისკის გაწევას და სავსებით კმაყოფილია იმითაც, რომ რონალდო სრულიად გამოჯანმრთელდა. როგორც კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, მან მოუწოდა „ინტერის" გულშემატკივრებს ცოტა მოითმინონ.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## უამრავი ბუნდოვანი საკითხი

### იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**17 მაისიდან 10 ივნისამდე იტალიის „სერია A"-ში მცირე შესვენება გამოცხადდა. ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ ორი ტური დარჩა, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი ბუნდოვანი საკითხია გადასაწყვეტი. ზოგს შეიძლება პასუხი უკვე მორიგმა XXXIII ტურმა გასცეს, ზოგს კი...**

პირველი და უმთავრესი, — ვინ შეიძლება დაეუფლოს სკუდეტოს? აქ ზოგი რამ ნათელია: დღეისათვის დარჩა მხოლოდ 3 პრეტენდენტი — „რომა", რომელსაც 71 ქულა აქვს, ტურინის „იუვენტუსი" (67) და რომის „ლაციო" (66).

„რომა", რომელსაც ძალიან მარჯვედ მართავს ფაბიო კაპელო, ეტყობა ახლოს არის მიზანთან. XXXI ტურში მას დიდი ჯაფა არ დასჭირვებია „ბარისთან" (4-1), რადგან პროვინციული კლუბი კარგა ხანია განწირულია. სხვა საკითხი იყო შეხვედრა „მილანთან", რომელსაც მოგების შემთხვევაში ჯერ კიდევ ექნებოდა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის ერთგვარი შესაძლებლობა. XXXII ტურში რომის ოლიმპიურ სტადიონზე სტუმრებმა მართლაც გახსნეს ანგარიში (კოკო). მაშინ კაპელომ მიმართა თავის, უკვე მრავალგზის გამოცდილ და გამართლებულ იარაღს — თამაშში მეორე ტაიმიდან ჩართო მონტელა, რომელიც ამჯერადაც შესანიშნავად მოქმედებდა და გოლიც გაიტანა — 1-1. ეს ერთი ქულა ლიდერისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, მილანმა კი დაკარგა ორი, და, ამასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ყოველგვარი იმედი.

ახლა „რომას", თუმცა უახლოეს მდევარს 4 ქულით უსწრებს და ამდენად სერიოზული გარანტიები აქვს, მძიმე მატჩი ელის ნეაპოლის „სან-პაოლოს" სტადიონზე მე-16 ადგილზე მყოფ „ნაპოლისთან" (32 ქულა). საქმე ის არის, რომ მასპინძლებს, თუკი საერთოდ რამე უშველით, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულა, „ნაპოლი", ასეთი მძიმე სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, საკმარისად ძლიერი გუნდია. თუკი „რომამ" მოიგო, მაშინ, რა თქმა უნდა, იგი ჩემპიონი ხდება, რაც ჩინებულად წარმართული სეზონის შემდეგ კლუბმა დაიმსახურა.

ნეაპოლის შეხვედრას მოუთმენლად ელოდებიან „იუვენტუსი" და „ლაციო". შარშან ტურინელებმა სულ უკანასკნელ მომენტში, ბევრი მიმომხილველის აზრით, დაკარგეს ჩემპიონობა. ახლა ასეთი ვითარებაა: „ბებერმა ქალბატონმა" შეიძლება მოიგოს ბოლო ორი მატჩი, ის კი სხვა საკითხია, უშველის კი ეს ექვსი ქულა მას? ჯერ ტურინელები სტუმრად თამაშობენ „ვიჩენცასთან" (33 ქულა), რომელიც სულ ახლოსაა სახიფათო ზონასთან, სეზონს კი „დელ ალპიზე" ბერგამის „ატალანტასთან" ამთავრებს, რომელიც ცდილობს გაინაღდოს უეფას თასის საგზური. თუ „ატალანტამ" წააგო, მაშინ იგი ამ საგზურს ვეღარ მიიღებს.

ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტ „ლაციოს" 10 ივნისს უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს შინ „ფიორენტინასთან" (43). ორივე მხარეს მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. ბოლო ტურში რომაელები სტუმრად ითამაშებენ „ლეჩესთან", რომელსაც ასევე ემუქრება „სერია B"-ში გადაბარგება.

საინტერესოა, რომ ჩემპიონატში შექმნილ უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში „პარმა" (56) მეტად თავისებურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მისთვის ჩემპიონატი ფაქტობრივად დამთავრებულია: მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა თასის საგზური უკვე განაღდებულია — ვერც წინ გადაინაცვლებს და ვერც უკან დაიხევს, თუნდაც ორივე დარჩენილი მატჩი წააგოს. თუ რენცო ულივიერის კლუბისათვის ამ შეხვედრებს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს, სულ სხვაა „ვერონას" (31 ქულა), რომელსაც მეორე ლიგაში ჩამოქვეითება ემუქრება, მდგომარეობა. ამავე დროს ბოლო ტურის შეხვედრისას „რომასთან" შეიძლება რაიმე მნიშვნელობა აღარც კი ჰქონდეს, ანდა, ვინ იცის, შეიძლება რომაელებისათვის გადამწყვეტიც კი გამოდგეს. ერთი სიტყვით, „სერია A"-ში არაერთი გაუხსნელი კვანძია.

„მილანისათვის" (48) ეს სეზონი, ცხადია, მარცხიანი იყო. 1999 წელს მან ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით ჩემპიონობა მოიპოვა, 2000 წელს იმავე სპეციალისტის ხელში მესამე ადგილზე გამოვიდა, რაც ჩაეთვალა... მარცხად! ახლა კიდევ უკან იხევს, რამაც განაპირობა (დროებით) მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის შეცვლა და მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები. „მილანი" კვირას მიიღებს „ბრეშიას", რომელმაც რობერტო ბაჯოს მონაწილეობის მეორე წრეში საოცარი რამ ჩაიდინა: უკანასკნელად XXIII ტურში დამარცხდა! შემდეგ ბაჯოს გოლების წყალობით ჯერ ფრეს მიაღწია სტუმრად „იუვენტუსთან", შინ კი „ინტერს" სძლია. ეს მაშინ, როცა ბევრი ექსპერტის აზრით, ეს მოკრძალებული კლუბი წელსვე „სერია B"-ში უნდა დაბრუნებულიყო. ბოლო ტურში „მილანი" ქ. რეჯიო-დი-კალაბრიაში ეთამაშება „რეჯინას" (33), რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია.

მეექვსე ადგილზე მყოფ „ინტერს" (45) შეუძლია რამდენადმე გაიუმჯობესოს მდგომარეობა, რადგან ჯერ სტუმრად თამაშობს „ბარისთან", შემდეგ იღებს „ბოლონიას" და დაელოდება ახალ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს, რომელსაც ვალენსიაში მართლაც რომ გასაოცარი წარმატებები ჰქონდა. ამ უდავოდ დიდ სპეციალისტზე ბოლო თვეებში, რომ იტყვიან, ნამდვილი „ტაციაობა" იყო.



„ატალანტა" (44) ბოლო ორი შეხვედრის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სეზონით უდავოდ კმაყოფილი დარჩება. კვირას მას შეუძლია მოუგოს „უდინეზეს" (35), რომელიც წელს, შარშანდელთან შედარებით ფრიად უფერულად თამაშობს, ბოლო ტურში ტურინში „იუვენტუსთან" შეხვედრაზე კი რა მოგახსენოთ!

„ფიორენტინის" (43) მესვეურები ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ კლუბს სათავეში ჩაუდგა ესოდენ პოპულარული რობერტო მანჩინი. აი ის კი ვერაფერი საქმეა, რომ ყოველწლიურად სხვაგან გადადიან წამყვანი მოთამაშეები. შარშან ეს იყო ბატისტუტა, წელს კი მას მიჰყვება შესანიშნავი მეკარე ტოლდო.

ბოლო ტურებზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ „ბოლონია" (42), გნებავთ „პერუჯა" (41) და ბრეშია (40). საკმაოდ ბევრია გუნდების რიცხვი, რომლებსაც „სერია A"-ს დატოვება ემუქრებათ. ამასთან, მათ შორის ქულათა განსხვავება შედარებით უმნიშვნელოა. თუ „უდინეზეს" 35 ქულა აქვს და შედარებით უკეთეს პირობებშია, „ვიჩენცამ", „ლეჩემ" და „რეჯინამ" 33-33 ქულა მოაგროვეს, კიდევ უფრო უარესია „ნაპოლისა" (32) და „ვერონას" (31) მდგომარეობა, ხოლო „ბარიმ" (20), როგორც ეს უკვე არაერთხელ ითქვა, უკვე კარგა ხანია დაკარგა „სერია A"-ში დარჩენის უფლება, თუმცა, მისდა სასახელოდ ბრძოლა არ შეუწყვეტია, არავის არაფერს უთმობს.

**ბივი გამრეკელი**







ალან აივერსონის ბრწყინვალე თამაშით თავდასხმაში და დიკემბე მუტუმბოს თამაშით დაცვაში „ფილადელფიამ" მოიგო პირველი შეხვედრა „ლეიკერსთან".

**„ლეიკერსი" — ფილადელფია" 101:107 (ო.ტ)**

ო'ნილი (44+20 მოხსნა), ფოქსი (19), ბრაიანტი (15) — აივერსონი (48), მუტომბო (13+16 მოხსნა), სნოუ (13).

მატჩის დასაწყისში წინ გავიდა „ლეიკერსი" — 16:0, შემდეგ თანდათან „ფილადელფიამ" შეძლო თამაშის გამოსწორება, რაც უპირატესად აივერსონისა და მუტომბოს დამსახურებაა. შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა — 94:94. დამატებითი დროის დასაწყისში წინ გავიდა „ლეიკერსი" 5 ქულით, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე წუთსა და 19 წამით ადრე აივერსონის ტყორცნის შემდეგ, უკვე წინ „ფილადელფიაა". ამრიგად, სერიაში დაწინაურდა „ფილადელფია" — 1:0.

## ფეხბურთი

### კონფედერაციის თასი

## ფინალში საფრანგეთი – იაპონია ითამაშებენ

გუშინ გამოვლინდნენ კონფედერაციის თასის ფინალისტები. პირველ ნახევარფინალში იაპონიისა და ავსტრალიის შეხვედრაში ნაკატას მიერ შესრულებული ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გამარჯვება და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა იაპონიის ნაკრებმა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებები. პირველი გოლი შეხვედრის დასაწყისში რობერ პირესმა გაიტანა, 30-ე წუთზე ფრანგების კარში დაინიშნა ჯარიმა და რამონის დარტყმა ზუსტი გამოდგა 1-1. მეორე ნახევრის დასაწყისში მარსელ დესაიმ თავური დარტყმით გამარჯვება მოუტანა მსოფლიო ჩემპიონებს.

ამრიგად, 9 ივნისს მატჩში III ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და ავსტრალიის ნაკრებები. ხოლო 10 ივნისს, იოკაჰამაში, ფინალს საფრანგეთისა და იაპონიის ნაკრებები გაითამაშებენ.



## მძლეოსნობა

ცნობილი ირლანდიელი მორბენალი სონია ოსალივანი გამოტოვებს მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც აგვისტოს თვეში გაიმართება ედმონტონში. ეს გადაწყვეტილება 31 წლის მორბენალმა ახსნა ფიზიკური გადაღლილობით, მან განაცხადა აგრეთვე, რომ წლეულს არ მიიღებს მონაწილეობას არც ერთ დიდ შეჯიბრებაში.




*სონია ო'სალივანი*

## ჭადრაკი

### ევროპის პირველობა ჭადრაკში

## 4 ლიდერი ოჰრიდში

მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში მიმდინარეობს ევროპის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. იგი ხანგძლივი შეჯიბრებაა — 13 ტური უნდა გათამაშდეს, 46 უძლიერესი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს მიიღებს, პირველი 32 კი ფულად ჯილდოებს. პირველი პრიზი 40 ათასი დოლარია.

6 ტურის შემდეგ 5-5 ქულით ასპარეზობას 4 ლიდერი ჰყავს. ესენია დიდოსტატები კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), გენადი ტიმოშენკო (უკრაინა), ვადამ მილოვი (შვეიცარია) და სმბატ ლპუტიანი (სომხეთი).

ქართველ მონაწილეთაგან ჯერჯერობით ყველაზე კარგი მაჩვენებლები ზურაბ სტურუას აქვს — 4 ქულა. საინტერესოა, რომ მეექვსე ტურში იგი შეხვდა გამოჩენილ დიდოსტატ ქალ იუდით პოლგარს (უნგრეთი), რომელიც, ცხადია, თვით იბრძვის მაღალი საპრიზო ადგილისათვის. ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა. 3,5 ქულა მოაგროვა გიორგი ყაჭეიშვილმა. 3 ქულა აქვს ზურაბ აზმაიფარაშვილს, რომელიც მეექვსე ტურში ყაიმზე შეუთანხმდა რუს დიდოსტატ იგორ ბურმაკინს.

შვეიცარული სისტემის სპეციფიკა ის გახლავთ, რომ აქ ლიდერი ყოველდღიურად იცვლება. ისე, რომ ჯერჯერობით არც ვინმეს დაუყრია ფარხმალი და არც წამყვანი მოჭადრაკეების მდგომარეობაა მყარი. წინ ხომ მთელი შვიდი ტურია.

## კაპრიატი და კლიისტერსი „როლან გაროსის" ფინალში ითამაშებენ

იხ. პირველი გვ.



## ველოსპორტი

## ვინოკუროვი – „გერმანიის ტურის" გამარჯვებული

დასრულდა მრავალდღიანი ველორბოლა „გერმანიის ტური", რომლის ბოლო მე-8 ეტაპი მოიგო გერმანელმა ერიკ ცაბელმა, ეს მისი მესამე გამარჯვებისა იყო ამ ტურში, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის. საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა ყაზახეთის წარმომადგენელმა ვინოკუროვმა, რომლის დროა 30:57,17. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: არბილია (ესპანეთი) ჩამორჩენა 1,56; ალდაგი (გერმანია) — 1,58.






*პასკუალ ერვე*

## ერვე კვლავ ამხილეს

ფრანგი ველომრბოლელი პასკუალ ერვე პირველი მსხვერპლია, რომელიც დოპინგ კონტროლს შეეწირა მრავალდღიან ველომარათონში „ჯირო დ'იტალია". 36 წლის ერვე ერთხელ უკვე იყო დისკვალიფიცირებული დოპინგის გამოყენებისათვის 1998 წლის „ტურ დე ფრანსის" ველორბოლაში.

## UCI ახალი რეიტინგი

**ველოსიპედისტთა საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა მსოფლიოში უძლიერეს ქალ ველომრბოლთა ახალი რეიტინგი:**

1. ანა მილარდი (ავსტრალია) — 755,0 ქულა
2. მირიამი მეჰლერსი (ჰოლანდია) — 545,5
3. ლეონტიენ ზეილარდი (ჰოლანდია) — 506,0
4. დიანა ჟელიუტე (ლიტვა) — 481,0
5. ზინაიდა სტიაჟკინა (ბელარუსი) — 474,0

## ფეხბურთი

## ჩეხეთის პოლიციამ დააკავა ჩრდილო ირლანდიის მწვრთნელი და მოთამაშეები

4 ფეხბურთელი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებიდან და მეკარეებთან მომუშავე მწვრთნელი, გუშინ, პრაღაში, დააკავეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

ირლანდიელების დაკავება მოხდა ღამის კლუბში. პოლიციის ვერსიით, ერთერთმა უცხოელმა ყვავილებიანი ლარნაკი ესროლა 23 წლის ოფიციანს, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებულები პოლიციაში მანამდე დარჩებიან, სანამ ალკოჰოლზე ტესტის შედეგი არ დადგინდება. ჯერჯერობით არცერთი მათგანისათვის ბრალდება არ წაუყენებიათ.

დაკავებულთა სახელებს ოფიციალურად არ ახმაურებენ, მაგრამ ირლანდიის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესენი არიან ნაკრების კაპიტანი ჰიუზი, ფორვარდები ჰილი და ფერგიუსონი, ნახევარმცველი კენედი და მეკარეთა მწვრთნელი რაიტი.

თავად ჩრდილო ირლანდიელები თვლიან, რომ მოხდა გაუგებრობა და დაკავებულნი მალე დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში.

## თქვენთვის, ერუდიტებო!

**1. რომელ ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს ქართველმა სპორტსმენებმა ყველაზე მეტი ოქროს მედალი:**

ა) XXV. ბარსელონა (1992 წელი)
ბ) XXIV. სეული (1988 წელი)
გ) XX. მიუნხენი (1972 წელი).

**2. რომელი ფეხბურთელის ზედმეტ-სახელია „მოზვერი":**

ა) ბეტი
ბ) იეკინი
გ) სიმონე.

**3. ვინ გახდა 1996 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი:**

ა) რ. ბაჯო
ბ) მ. ზამერი
გ) ხ. სტოიჩკოვი.

**4. რა იყო 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (ფეხბურთში) თილისმა:**

ა) ნარანხიტო (ფორთოხალი)
ბ) ფრუტიქსი (მამალი)
გ) პიკე (წიწაკა).

**5. ვინ მოიპოვა უეფას თასი 1997 წელს:**

ა) ინტერი
ბ) შალკე
გ) პარმა.



# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

## მიღებას 2001 წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე

### დღის სწავლება

**1. მწვრთნელთა სპეციალობებზე** (ქართული და რუსული სექტორი) მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ტრადიციული კარატე, ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, სათხილამურო სპორტი, ველოსპორტი, მეკლდეურობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, რაგბი, ცურვა, მძლეოსნობა, სპ. ტანვარჯიში, მხ. ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული ცეკვები, ჩოგბურთი. მაგიდის ჩოგბურთი.

გამოცდები ჩატარდება: სპორტის არჩეულ სახეობაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**2. პედაგოგიურ სპეციალობებზე** მიღება იწარმოებს:

ა). ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი (ქართული და რუსული სექტორი);

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობაში გადახრების მქონე პირებთან გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი (ადაპტიური სპორტი);

გ) დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობა (ქართული სექტორი).

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდისა და მასწავლებლის სპეციალობაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ სამხედროდან დემობილიზირებულთ.

**3. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია** (ქართული და რუსული სექტორი).

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში (ტესტირებით), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**4. სპორტის მედიცინა** (სამედიცინო უნივერსიტეტთან კოოპერირებით.)

გამოცდები ჩატარდება: ბიოლოგიაში (ტესტირებით), ქიმიაში (ტესტირებით), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**5. სამართალმცოდნეობა** (სპორტისა და ტურიზმის სამართალმცოდნე).

გამოცდები ჩატარდება: სამართალმცოდნეობაში (ზეპირი), საქართველოს ისტორიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**6. სტომატოლოგია.**

გამოცდები ჩატარდება: ბიოლოგიაში (ტესტირებით), ქიმიაში (ტესტირებით), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

### დაუსწრებელი განყოფილება

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე (ქართული სექტორი) **ა) მწვრთნელი, ბ) ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, გ) სამკურნალო გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი.**

გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა" ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სპორტული სპეციალობების დღის და დაუსწრებელი განყოფილების ყველა სტუდენტს აქვს უფლება ერთდროულად მიიღოს პარალელური (მეორე) განათლება სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობით, გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობისა.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირისა, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

### ფასიანი სექტორი

1. ფასიან სწავლებაზე მიიღებიან აბიტურიენტები დღის და დაუსწრებელი განყოფილების ყველა სპეციალობაზე, გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობის, და სარგებლობენ საბიუჯეტო სექტორის ყველა უფლებით.

ფასიან სექტორზე ჩაირიცხებიან ის აბიტურიენტები, რომლებმაც უფასო სექტორზე დააგროვეს ქულათა გარკვეული რაოდენობა და კონკურსის შედეგად ვერ ჩაირიცხნენ.

ფასიან სექტორზე შემსვლელები ჩააბარებენ:

1. მწვრთნელის, პედაგოგიური და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სპეციალობებზე ერთ გამოცდას — საერთო ფიზიკური მომზადება.

2. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია — საერთო ფიზიკური მომზადება, ბიოლოგია (ტესტირებით).

3. სპორტის მედიცინა — ბიოლოგია (ტესტირებით).

4. სტომატოლოგია — ბიოლოგია (ტესტირებით), ქიმია (ტესტირებით).

5. უცხო ენები: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული.

(სპორტის აკადემიასთან არსებული უცხო ენების ინსტიტუტის ბაზაზე) — შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

6. სამართალმცოდნეობა დასწრებული და დაუსწრებელი — საქართველოს ისტორია (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

7. საბაჟო სამართალი დასწრებული, დაუსწრებელი — საქართველოს ისტორია (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ფასიან სექტორზე საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 17, 18 აგვისტოს. ფასიან სექტორზე ჩარიცხვა მოხდება მათ მიერ პირველი წლის სწავლების საფასურის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 26 აგვისტოსი.

აკადემიის სწავლების ყველა ფორმაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად.

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4), წვევამდელის მიწერის მოწმობა.

სპორტულ სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას სპორტის აკადემიაში. ფიზიკური აღზრდის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტებზე შემსვლელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი სპორტის არჩეულ სახეობაში.

აკადემიაში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა.

### ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კოლეჯი

**მიიღებიან 9 კლასის კურსდამთავრებულები** ზოგადი პროფილის მედდის, მეძმის და მასაჟისტის სპეციალობით, სწავლის ვადა — 3 წელი.

კოლეჯის კურსდამთავრებულები სურვილის მიხედვით უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აკადემიის ფასიანი განყოფილების მეორე კურსზე არსებული სპეციალობების მიხედვით.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში (ტესტური მეთოდით).

### სტომატოლოგიური კოლეჯი

**მიიღებიან 9 კლასდამთავრებული აბიტურიენტები.**

კოლეჯში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია, კურსდამთავრებულები მიიღებენ კბილის ტექნიკოსის სპეციალობას.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში (ტესტური გამოცდა), ქიმიაში (ტესტური გამოცდა).

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ფრიადოსანი სტუდენტები სტომატოლოგიურ ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან (ფასიან სექტორზე), მეორე კურსზე.

ორივე კოლეჯში საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან ყოველდღე, 25 აგვისტომდე (ყოველდღე, კვირის გარდა).

კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4).

სწავლის ყველა ფორმაზე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით მომსახურეობა ფასიანია (10 ლარი); აბიტურიენტს აღნიშნული ფანხა არ უბრუნდება. ღია კარის დღე ჩატარდება 5 და 12 ივლისს 12.00 საათზე.

აკადემიაში არსებობს მაგისტრატურა და ასპირანტურა.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის 49.

ტელეფონი: 29 37 62; 23 03 75.

---

## „როლან გაროსის" კორტებზე

# აგასი დამარცხდა

„როლან გაროსზე" ვაჟთა ნახევარფინალური წყვილები ასეთია: სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი), ალექს კორეტჯას (ესპანეთი) შეხვდება, ხოლო გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ხუან კარლოს ფერეროს (ესპანეთი).

ეს შეხვედრა დღეს გაიმართება.

თუ კუერტენის გამარჯვება მეოთხედფინალში ევგენი კაფელნიკოვთან (რუსეთი) სრულიად კანონზომიერ შედეგად ჩაითვალა, დიდი სენსაცია იყო სებასტიან გროსჟანის მოგება ანდრე აგასისთან (აშშ) ოთხსეტიან მატჩში: 1:6, 6:1, 6:1, 6:3. ხუან კარლოს ფერერის უდავო უპირატესობა ჰქონდა ლეიტონ ჰიუიტთან (ავსტრალია), ალექს კორეტჯას ასევე სამსეტიან ბრძოლაში მაინც მეტი სიძნელეების გადალახვა მოუხდა შვეიცარიელ როჟე ფედერესთან.




კუერტენ — ფერეროს დღევანდელ შეხვედრას ზოგიერთი მიმომხილველი მაინც „ფინალს ნახევარფინალში" უწოდებს, ამასთან ფავორიტად მიწის საფარზე თამაშის დიდი ოსტატი, ბრაზილიელი კუერტენი ითვლება. ქალთა ნახევარფინალში ასევე „ფინალად" ითვლება მსოფლიოს №1 ჩოგან შვეიცარიელ მარტინა ჰინგისის (იგი პარიზში ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ კვლავ თავისი მწვრთნელი დედის თანხლებით ჩავიდა) შეხვედრა ჯენიფერ კაპრიატისთან (აშშ). კაპრიატი ახლა სტაბილურად და ძლიერად თამაშობს, რისი დადასტურებაც იყო მისი გამარჯვება მეოთხედფინალში თანამემამულე სერენა უილიამსთან

*(იხ. 1-ლი გვ.)*

---

## „მკურნალი 2001" გთავაზობთ:

ორგანიზმის სისტემურ, კომპიუტერულ დიაგნოსტირებას რ. ფოლის ელექტროპუნქტურული (წერტილოვანი) კვლევის მეთოდით;

ინდივიდუალური სამკურნალო პროგრამის შერჩევას კომპიუტერული ტესტირების საშუალებით;

თანამშრომლობას შესაბამისი ანაზღაურებით.

თანამშრომლობის მსურველთათვის პრეზენტაცია ყოველ პარასკევს 17.00 სთ. პაციენტის მიღება წინასწარი ჩაწერით. საკონტაქტო ტელეფონი: 38-48-85.

მისამართი: ბახტრიონის ქ. №8 (II სადარბაზო, II სართული, ბინა №23).

---

## შეკითხვა «ლელოს»

**შეკითხვა: მისაღები გამოცდები მინდა ჩავაბარო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში მწვრთნელთა ფაკულტეტზე. მიღების პირობებში წერია, რომ აბიტურიენტმა „უნდა წარმოადგინოს სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი სპორტის არჩეულ სახეობაში". რამდენადაც ვიცი, სათანრიგო ნორმატივები არ არსებობს, როგორ მოვიქცე?**

*ვახტანგ ბაკაშვილი, აბიტურიენტი, თბილისი*

**პასუხი:** თქვენ აუცილებლად უნდა მიაკითხოთ შესაბამის ფედერაციას, სპორტსაზოგადოებას ან სპორტკლუბს, რომლის წევრიც თქვენ ხართ. სათანრიგო ნორმატივები, მართალია, ახალი არ შემუშავებულა, მაგრამ არც ძველი გაუუქმებია ვინმეს ოფიციალურად. არსებობს წესი: ყველა დოკუმენტი, მათ შორის იურიდიული, ძალაშია და მოქმედებს მანამდე, სანამ იგი ახლით არ შეიცვლება და ძველი ძალადაკარგულად არ გამოცხადდება. რაც შეეხება „სპორტსმენის საკლასიფიკაციო წიგნაკს", უკვე დაბეჭდილია ქართულ ენაზე.

---

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**8 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. Iარხი.*** ფეხბურთი. ციურიხის საერთაშორისო ტურნირის მიმოხილვა (19.20), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***PTP.*** კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი, ნახევარფინალი (2.55, ბელფასტიდან), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (23.00, 05.00, 06.00 – ფინალები, პირდაპირი), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი, საფრანგეთის ღია პირველობა (11.30, 16.00, 22.30, 1.00), ფეხბურთი. მსოფლიო 2002-ის გზით (14.30), მძლეოსნობა. გრან-პრი (3.15, ესპანეთიდან), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (14.15, 16.10), საფეხბურთო არქივის არხი. ევრო-2000-ის მატჩი: გერმანია-რუმინეთი (18.15, 20.45), პორტუგალია-ინგლისი (23.25), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (20.00), მსოფლიო ფეხბურთი (1.10), ***НТВ плюс спорт.*** კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (17.25), კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა (18.05, 1.35), ტაილანდური კრივი (19.20).

**9 ივნისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე" (20.00), ***PTP.*** კრივი. პროფესიონალთა ფინალური შეხვედრები (0.45), „ფორმულა-1". კანადის გრან-პრი (2.25), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (10.30, 11.00, 18.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2002-ის გზით (12.30, 20.30), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (15.00), მძლეოსნობა. გრან-პრი (16.00 ესპანეთიდან), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (17.00, 22.00, 1.00, 3.15). ***НТВ плюс футбол.*** ევრო-2000-ის არქივი (13.15, 19.25, 23.20). კონფედერაციის თასი. მატჩი მე-3 ადგილისთვის, კორეიდან (14.55), მიმოხილვა – 21.10. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი, ნბა. ფინალი, მე-2 მატჩი (14.25), „დიდი რინგი" (20.00).

**10 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. Iარხი.*** ფეხბურთი. კონფედერაციის თასის ფინალი (14.50), ***PTP.*** კრივი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (0.20, ბელფასტიდან). „ფორმულა-1". კანადის გრან-პრი (1.55). ***ESPN.*** ცხენოსნობა. დაიჯესტი (08.30), კალათბურთი, ნბა (12.30, 13.00 – ქალები, 04.30 – ფინალი), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (13.30, 17.00, 1.00). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი (13.15, 23.45), ფინალი – (14.55, იაპონიიდან). იტალიის ჩემპიონატის მატჩი (17.55 – პირდაპირი, 21.50). ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (1.15).

---

**საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს ივანე ყურუას ბაბუის**

**ივანე ჟურუას**

**გარდაცვალების გამო**

---

**მეგობარი ვეტერანი სპორტსმენები თანაგრძნობას უცხადებენ რეზო ყურუას მამის**

**ივანე ჟურუას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს კეტბურთის (ბეისბოლის) ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელს ნუგზარ კაპანაძეს დედის გარდაცვალების გამო**

---

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გაზეთ „ეშვის" რედაქტორის, საქართველოს ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, აკადემიკოს**

**ომარ ნემსაძის**

**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა კვირას, 10 ივნისს, ზესტაფონის რაიონის სოფ. ქვემო საქარაში.

---




## კროსვორდი № 44 (შერეული)

**თარაზულად:** 2. წარსულში ცნობილი უნგრელი მოკრივე, ოლ. ჩემპიონი, 4. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი, 9. ცნობილი ამერიკელი ვაჟი ჩოგბურთელი, 10. სხვისი ტერიტორიის ძალით დაპყრობა, 11. სიმძიმე, იყენებენ ძალოსნობასა და ათლეტიზმში, 13. სოლო სიმღერა, 14. ქალაქი, რომელიც ძველბერძნული ეპოსით, ცნობილ ომთანაა დაკავშირებული, 17. საქართველოს ტელევიზიის I არხის პროგრამა, 19. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ვაჟი მოჭადრაკე ფიდეს ვერსიით, 22. ბალტიისპირეთის ქვეყნის დედაქალაქი, 24. აშშ-ის შტატი.

**შვეულად:** 1. დაბალი ტანის კაცი, 3. XX საუკუნის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი, 5. ნბა-ს გუნდი, 6. მდინარე ჩრდ. კავკასიაში, 7. ნადირობის კანონების დამცველი, 8. სპორტული შეჯიბრება, რომელიც ავლენს ჩემპიონს, 12. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი, 15. ტანვარჯიშული იარაღი, 16. კურორტი ბორჯომის რაიონში, 18. რაიონი რაჭაში, 20. ერთი ქვეყნის მიერ მეორესადმი წარდგენილი საპროტესტო წერილი, 21. მძლეოსნური იარაღი, 23. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი.

### №43 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კარატე, 7. „ბრაგა", 8. ბადე, 9. კანდელაკი, 10. ენდერი, 19. გიტი, 14. ელო, 15. ფრე, 16. სკუდეტო, 17. სალტო, 18. „ბურსა", 19. კასკადიორი, 20. ილიე.
**შვეულად:** 2. ტრეკი, 3. ბარკლი, 4. ბა, 5. პონედელნიკი, 6. კანოე, 8. ბადრო, 11. ნიკოლაძე, 12. ლასკერი, 13. გუდაური, 15. ფალკაო.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავა' 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.